# საქართველოს ქალი

7
1985

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი**

ამხ. ე. ა. შევარდნაძე დაიბადა 1928 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1948 წლიდან. დაამთავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო კომკავშირულ ორგანოებში. 1946 წლიდან 1953 წლამდე მუშაობდა საქართველოს ალკკ რაიკომის ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ, ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად და მეორე მდივნად.

1953 წელს იგი დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად. შემდეგ კვლავ კომკავშირულ სამუშაოზეა – იყო საქართველოს ალკკ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ხოლო 1957 წლიდან –პირველი მდივანი.

1961 წლიდან მას ირჩევენ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის, პარტიის ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივნად. 1964 წელს ინიშნება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო 1965 წელს – მინისტრად.

1972 წელს მას ირჩევენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1972 წლიდან ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია.

1976 წლიდან ე. ა. შევარდნაძე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია. 1978 წლიდან – სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. არის სსრ კავშირის (მეცხრე-მეათე-მეთერთმეტე მოწვევის) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სოციალისტური შრომის გმირია.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## დეპუტატ ა. ა. გრომიკოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი ანდრია ანდრიას ძე გრომიკო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 2 ივლისი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ამხ. ე. ა. შევარდნაძის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 2 ივლისი

# საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

6 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ე. ა. შევარდნაძე გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმზე გამოვიდა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ივლისის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობის შედეგებს, მაღალი პოლიტიკური აღმავლობის გრძნობით აცხადებენ, რომ მზად არიან კვლავაც განუხრელად განახორციელონ პარტიის მიერ შემუშავებული კურსი.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით პლენუმმა გულითადი მადლობა მოახსენა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე პარტიის გენერალური ხაზის, სკკპ ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი დამსახურებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, აქტუალური სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, მშრომელთა, ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი ზნეობრივ-პოლიტიკური, საქმიანი შემოქმედებითი ვითარების შექმნაში პირადი დიდი წვლილისათვის.

პლენუმმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მშრომელები ყოველღონეს მოახმარენ მიღწეული წარმატებების განმტკიცებასა და მათს შემდგომ ზრდას შეძენილი გამოცდილების საფუძველზე და კვლავაც უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებენ ჯერ კიდევ არსებული ყველა ნაკლის აღმოფხვრისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლეილა კრიხელის ლამაზი საკაბე

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ქართული ეროვნული მოტივების გამოყენებით ახალი ქსოვილები შეიქმნა: „ნინო“, „შიფონი“, „სადღესასწაულო“, რომლებიც ქალებს ძალიან მოეწონათ. გაერთიანება 21 სახის ქსოვილს უშვებს, მათგან რვა სახეობა წლეულს დაინერგა მომხმარებელთა სურვილის გათვალისწინებით. მუშავდება კაცის საპერანგე „ატლასის“ ტიპისა, საკაბე-საკოსტუმე ქსოვილები...

თბილისელმა მეაბრეშუმეებმა ხუთწლედის ოთხი წლის გეგმის გადამეტებით 3 მილიონ 349 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. მარტო შარშან 950 ათასი მანეთის ზეგეგმური პროდუქცია შეიქმა, წლეულს, ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით 551 000 მანეთის აბრეშუმის ქსოვილი მიაწოდეს მომხმარებელს. დარგის სამრეწველო საწარმოთა შორის კოლექტივმა ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. და აი, სულ ახლახანს, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით დაჯილდოვდა.

დაფასდა თბილისელი მეაბრეშუმეების შრომა. იმ ფეიქართა შორის, ვის ნახელავსაც კარგი შეფასება ხვდა წილად, ლეილა კრიხელიც არის.

ლეილას ხშირად ახსენებენ. ზოგი მის მოსაზრებას იზიარებს, ზოგი მისი მუშაობის მეთოდს მიიჩნევს სამაგალითოდ, ზოგიც ხუთწლედის მოწინავეთა შორის მას ერთ-ერთ საუკეთესო ფეიქრად თვლის. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში სახელოვან ფეიქართა შორის ლეილას ყოველთვის გამოარჩევენ. და, აი, მასთან შესახვედრად მივდივარ. გვერდით წარმოების პარტიული ბიუროს მდივანი ლეილა ნადიბაიძე მომყვება და გატაცებით მაცნობს ქსოვის ტექნოლოგიას... უცებ საუბარს წყვეტს, დაზგას აჩერებს: — ხედავთ, ძაფები არ მიბეჭვია ერთმანეთს! წუნის ამ სახეობას „ხახალას“ ვეძახით,—მეუბნება, სწრაფად არღვევს ქსოვილს, კვლავ ამუშავებს დაზგას, დგიმ-სავარცხელში მწყობრად გაჰყავს ძაფი და სავარცხელიც მისაქსელავ ძაფს ლამაზად მიაბეჭავს ქსოვილს. ეს თითქმის ერთ წამში ხდება. მერე ლეილა ნადიბაიძე ახალგაზრდა ფეიქარს რჩევას აძლევს და ახლა იისფერი ძაფების ქარგას მოავლებს მზერას. მარჯვნივ, დაზგებს შორის ფეიქრის მომღიმარე სახე ჩანს: ხან გამოჩნდება, ხან გაუჩინარდება. — აი, ეს არის ლეილა კრიხელი, — მეუბნება პარტბიუროს მდივანი, შენთან სტუმარიაო, გასძახის ლეილას და თვითონ დაზგების რიგს მიუყვება. ფეიქარი სალამს ამბობს და კვლავ თვალს ეფარება. ექვს დაზგას ემსახურება. მწყობრად გუგუნებს დაზგები. ფეიქარი ყურს უგდებს მათს ხმას. მერე ხან ერთთან დაიხრება, ხან მეორესთან და ხელის უსწრაფესი მოძრაობით აერთებს გაწყვეტილ ძაფს. ფეიქრის თვალი და ყური დაზგებისკენ არის მიპყრობილი. სამუშაო დღის დამთავრებამდე 80 მეტრი ქსოვილია მოსაქსოვი. ამიტომ არ ვაცდენ და ვპირდები, თავისუფალ დროს მოგინახულებთ-მეთქი.

შაბათ დღეს სადა, ლამაზი ტანსაცმლით სულ სხვანაირი მეჩვენა. თითქოს იქ, დაზგებთან დარჩენილიყო მოუსვენარი ფეიქარი და ახლა ჩემს წინაშე ჩვეულებრივი თბილისელი ქალიშვილი იდგა... ქალიშვილი, რომელსაც შეეძლო გატაცებით ესაუბრა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე და თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო ხმაურიან საამქროსთან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით იყო, მანამდე, სანამ მის პროფესიაზე, საქმისადმი სიყვარულზე დავიწყებდით საუბარს.

„როგორი უნდა იყოს ფეიქარი?.. — ამ კითხვაზე ერთხანს დაფიქრდა, მერე სახეზე ღიმილი აღებეჭდა და თქვა: — ფიქრი უნდა უყვარდეს, მაშინ კი არა, როცა დაზგებთან ტრიალებს, მაშინ ფიქრის დრო სად არის, ისე, სხვა დროს, ფიქრი და ოცნება თუ გიყვარს, უფრო უკეთესი ხდები, საქმესაც გულიანად აკეთებ და ნახელავიც კარგი გამოგდის. ფიქრი და ოცნება რწმენას მატებს ადამიანს, უამისოდ კი მცირედი დაბრკოლების გადალახვაც ძნელია“.

დღევანდელი გადასახედიდან ცხადად ჩანს წარსულიც: ერთხელ მოულოდნელად გაუჩერდა ოთხივე დაზგა... ქალიშვილმა უმწეოდ ჩამოყარა ხელები და დაღონდა. დამრიგებელთან გავიქცევიო, — იფიქრა. ამ დროს ვიღაცამ ხელი შეახო, თავისკენ მოაბრუნა. ის დამრიგებელი ლუიზა ბეროშვილი იყო.

„50 ძაფი ერთად ჩაგწყვეტია, ეს „მასობრივი ჩაწყვეტაა“. და იცი რატომ მოხდა ეს? დგიმ-სავარცხელში შეცდომით გაგიყვანია ძაფი“...

„მერე დამრიგებელი გვერდით ამომიდგა, სწრაფად გადააბა ძაფები, დაზგა აამუშავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემდეგაც, კარგა ხანს, თუმცა პროფტექნიკური ხასწავლებელი მქონდა დამთავრებული, ხან დამრიგებელი წამომაშველებდა ხელს, ხან — ქარგალი რეზო გეწაძე... ახლა, როცა პირველ დღეებზე ვფიქრობ, ასე მგონია, კეთილმა სიტყვამ, წახალისებამ ათასჯერ უფრო მეტი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, ვიდრე ხელის წაშველებამ", — იგონებს ლეილა.

ლეილა სულ რამდენიმე თვეში დაოსტატდა. ცვლა მუშაობას რომ დაამთავრებდა, ახალგაზრდები სიცილით, ჟრიამულით ტოვებდნენ საამქროს, ის კი დაზგებს შორის სადღაც მიიმალებოდა და შინ წასვლას არ ჩქარობდა. დილით კი, ამხანაგების მოსვლამდე, ათიოდე მეტრი მაინც ჰქონდა მოქსოვილი.

ერთხელ, როდესაც საქმე თითქოსააწყო და ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა, ლეილას კვლავ გაუჩერდა დაზგა. გაუჩერდა, მაგრამ ამჯერად საგონებელში კი არ ჩავარდნილა, ორიოდე წამში გადააბა გაწყვეტილი ძაფები და რეზო გეწაძეს ზუსტად, თანმიმდევრულად გააგებინა მიზეზი, სწორედ იმ ჭანჭიკს დაადო ხელი, რის გამოც ერთბაშად ჩაწყდა 50-ვე ძაფი. ქარგალმა დანადგარი წესრიგში მოიყვანა და ლეილა შეაქო. მისი აზრით, დაზგის ნაწილების ასე საგულდაგულოდ შესწავლა და შეფერხების მიზეზების გამოცნობა შემდგომი წარმატების საფუძვლად უნდა ქცეულიყო. და, მართლაც, ლეილა კრიხელმა მეათე ხუთწლედის გეგმა 3 წელიწადსა და 8 თვეში შეასრულა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება კი — 3 წელიწადსა და 6 თვეში.

და აღიარებაც არ დააკლდა: ლეილა საამქროში ცვლის პარტიული ბიუროს მდივნად აირჩიეს. მეხუთე წელია, რაც საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიკომის წევრია.

პარტიული ბიუროს მდივანი ის ადამიანია, ვინც თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით კომუნისტებს — ყველა ფეიქარს, ოსტატს, ინჟინერს მაგალითს აძლევს, — ასე ესმის პარტიული კომიტეტის მდივანს მაყვალა ბურდულს. ლეილა კრიხელისათვის ეს საწარმო მეორე სახლია, სადაც ყველა და ყველაფერი ახლობელია. მისი წარმატების სათავეც სწორედ აქედან მოდის, აქედან იწყება ძიება, მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა...

ხარისხი და კვლავ ხარისხი! — ეს არის ცვლის პარტიული ბიუროს მიზანი და მთელი საქმიანობის ძირითადი პრინციპი. მომხმარებელი სულ უფრო მეტ ბუნებრივ ქსოვილს, ნამდვილ ქართულ აბრეშუმს მოითხოვს. საწარმოში ახალი, სირმებიანი ქსოვილი ინერგება. იმ დღეს, დესენატორმა ელიკო სეფიაშვილმა ქსელიც დაქსელილი მოიტანა და მისაქსელიც. მოვიდა და პირდაპირ ლეილას დაზგაში ჩადგა.

„ახალი ექსპერიმენტული ქსოვილი რომ მოქსოვო, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. ყველაფერს გაზომვა და გაანალიზება სჭირდება... როგორია წყვეტიანობა, რამდენი მეტრი ქსოვილი შეიძლება მოიქსოვოს დღეში, როგორი იქნება ხარისხი... ამ საკითხებზე ზუსტი პასუხი უნდა გასცეს ფეიქარმა. ახალი ქსოვილი მაშინ დაინერგება, როცა ის ტექნოლოგიით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. რა შეედრება იმ სიხარულს, ახალი სირმებიანი ქსოვილი ნაზი და ჰაეროვანი რომ გამოვა, დესენატორის ჩანაფიქრი რომ გამართლდება და ჩვენი ქალები ლამაზ საკაბეებს შეიძენენ.

ლეილა სიყვარულით, გატაცებით საუბრობს იმ ქსოვილზე, რომელიც უთუოდ მოეწონება მომხმარებელს. იმაზე კი არაფერს ამბობს, რამდენი ცდა და გულისყურია საჭირო, რომ დღეში 80 მეტრი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი მოქსოვოს. სამაგალითო მუშაობისათვის ბევრჯერ გამოუცხადეს მადლობა და შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

ქართული აბრეშუმის ქსოვილის ხარისხს გაუმჯობესება სჭირდება. აი, სწორედ ამ ამოცანის განსახორციელებლად დაინერგა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების საიჯარო ბრიგადული ფორმა. ამ პროგრესულ მეთოდს მრავალი მიმდევარი ჰყავს. ლეილა კრიხელი ბრიგადის საბჭოს წევრია.

„ბრიგადაში ათნი ვართ, — საუბრობს ლეილა ბრიგადის წევრებზე, — ბრიგადა ერთი ოჯახივით არის. აქ, უწინდებურად მთავარი ის როდია, მარტო შენ რომ შეასრულო გეგმა გადამეტებით, მარტო შენ უერთგულო საწარმოს. შენსავით ერთგულად უნდა გაისარჯოს ბრიგადის ყველა წევრი, თორემ კარგ საბოლოო შედეგებს ვერ მივაღწევთ. პრემიას კი სწორედ კარგი შედეგების მიხედვით ვიღებთ. ამიტომ მარტო ბრიგადირი რეზო გეწაძე კი არა, ბრიგადის თითოეული წევრი უნდა იჩენდეს დიდ მომთხოვნელობას ამხანაგების მიმართ. ვცდილობთ არ მოცდეს არცერთი დაზგა. ბრიგადის წევრი ხარისხის პრემიას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა გეგმას 100 კი არა, 110 პროცენტით ასრულებს.. ახალი ბრიგადული ფორმა პროგრესულია. ეს დიდი ხანია ვირწმუნეთ. თუ წინათ ჩვენი საშუალო თვიური ხელფასი 250 მანეთს შეადგენდა, ახლა 280-300 მანეთს აღწევს. ანაზღაურების ამ ფორმამ დააინტერესა ბრიგადის თითოეული წევრი. გეგმას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ და რაც მთავარია, ხარისხზე ვზრუნავთ“.

საღამო ხანს კომუნისტები პარტიული კომიტეტის მდივნის მაყვალა ბურდულის ოთახში იკრიბებიან. მოდიან რჩევისათვის, დახმარებისათვის... ზოგიც მაყვალას მაგიდაზე სასურველ წიგნს ათვალიერებს. აქ აწყვია მურმან ლებანიძის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, მედეა კახიძის ლექსების კრებულები...

იმათ, ვინც დღის მანძილზე ერთგულად გაისარჯა, მაყვალა მზრუნველობას, ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს არ აკლებს. ბრიგადის საბჭოს წევრს, ახალგაზრდა ფეიქარს ლეილა კრიხელსაც ეს სითბო უნაწილდება.

ლამარა ესართია

ელენე დიდიმამიშვილი



## შენ უნდა აჰყვე მთებზე განთიადს...

შენ უნდა აჰყვე მთებზე განთიადს
ვიდრე დარეკენ ზარზმის ზარები...
უნდა იმღერო მზეზე აფრიან —
კვლავ გაზაფხულით, კვლავ მზის დარებით...

უნდა ახვიდე, უნდა აჭიდე,
უნდა იხილო ყველაზე მაღლა —
შენს შესახვედრად თხემის ნაპირზე
გზად გადმომდგარი ძეწნა და ალვა...

კვლავ უნდა ნახო ოცხე და სამცხე,
მშვიდობა — მათი ალალმფლობელი...
იმ მაღალ ფიქრთა მორევთან, სადმე,
ისმინო ფრთოსანთ საგალობელი...
შენ უნდა აჰყვე მთებზე განთიადს...

* * *

მე მინდა ისევ ხალისით ჰქროდე,
ლაღი და მარად
მუხლმოუღლელი...
თავისუფალი, ისე ჭრით ოდეს...
არცა — რა ტვირთით,
არც-რა უღელით...
მე მინდა იყო ისევ მაღალი
სინდისით,
ნებით,
და გარემოთი...
დაუდგრომელი, საქმით ალალით, —
რაც შეგშვენოდა,
რასაც შვენოდი...
იყო მართალი... (სიმართლე შენი
თუნდ იყოს ჩემთვის სასმისი, მწარე)...
ო, სპეტაკ სხივთა სინათლის ფრქვევით —
მიგადარებდი მაისის დარებს...
იმ გაზაფხულთა, ნაირფერ დღეთა —
სიკეთე შენდა...
მე სხვას არარას მოვითხოვ შენგან..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგიწმინდელი მეცხოველეები



მეცხოველეობის კომპლექსი

ახლადაღმოცენებულმა სოფელმა უდაბნომ წამით რატომღაც საჰარის ოაზისი მომაგონა. ერთგვაროვანი სტილით ნაგები კოპწია ორსართულიანი ოდასახლები, ერთმანეთზე მიჯრილები, ტყუპის ცალებივით ჰგავს ერთმანეთს... მოპირკეთებული ეზო-გარემო სანახავად იზიდავს გამვლელს. თითოეულის სამკაული აივნებზე გამოდგმული ნაირფრად მოჩუქურთმებული აკვნებია. სოფელში ბინა დაიდეს აქაურებმა, მეზობელი რაიონებიდან სამოყვროდ მოსულებმაც, ვისაც ჩვენი ერის გამრავლება, ახალი სოფლების აღდგენა-განახლება გულთან მიუტანია და სისხლხორცეულ საქმედ გაუხდია.

ქორწილებიც ბევრჯერ ჰქონდათ უდაბნოელებს, ძეობებიც იზეიმეს, სიცოცხლის დამკვიდრების ნიშნად „სიცოცხლის სვეტი“ აღმართეს საგარეჯოელებმა ამ ადგილას. ამ სვეტის გახსნაზე სამი წლის წინათ ლამის მთელი საქართველო დაიძრა, რათა ერთად აღენიშნათ ახალი სიცოცხლის დაბადება. სოფლის ყველაზე სასურველი და სანატრელი სტუმარი პარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი მედეა მეზვრიშვილია, მათი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ავისა და კარგის გამკითხავი, ქალი, რომელსაც ყოველი მათგანის სატკივარისა და სიხარულის გულთან მიტანა და უზომოდ განცდა შეუძლია.

დღე და ღამ უწყვეტ ნაკადად მოედინება მაცოცხლებელი წყალი უდაბნოში. გადმოცემის თანახმად, ამ მადლიან მიწაზე ოდესღაც თურმე სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. ხარობდა ვაზი, ყვაოდა ბაღნარად ქცეული სოფლები. აურაცხელი აოხრებების და შემოსევების გამო ყოველივე აღგვილა პირისაგან მიწისა.

გამრჯე კაცის მარჯვენამ ისევ ჩაუდგა სული ახალ მოსახლეობას, ახარა ჯეჯილი, ათასგვარი ხეხილი, ადამიანი დაეპატრონა ბარაქიან მიწას...

სოფელ უდაბნოსა და მის გამრჯე ადამიანებზე არ ვაპირებთ დღეს საუბარს, მაგრამ ამ ადგილზე მოხვედრილმა კაცმა არ იქნება ყოველივე ეს არ გაიხსენოს...

თვალსაწიერის მიღმა დარჩა განახლებული სოფელი უდაბნო, უფრო შორს — 50 კილომეტრის იქით გველეშაპებივით გაწოლილი მთების გადაღმა, — ისტორიული ძეგლის დავით გარეჯის დიდებული კომპლექსი გვეგულება.

* * *

გეზი მთელი კავშირის მასშტაბით ცნობილი გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსისაკენ ავიღეთ. ამ ბარაქიანი მიწის თოთხმეტ ჰექტარს დაპატრონებიან მეცხოველეები. ბოლო წლებში მათზე ნათქვამი ბევრი კეთილი და საქებარი სიტყვა გვსმენია.

1984 წლის გეგმა-ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებისათვის კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და სკკპ ცენრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და საპატიო სიგელით მეექვსედ დააჯილდოვეს. ერთიორად იმატა დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობამ, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, უფრო დაფასდა მშრომელი კაცის მარჯვენა. ამის ნათელი დადასტურებაა ციფრები: გეგმით გიორგიწმინდელ მეცხოველეებს წლეულს 24 ათასი სული ღორი — „მსხვილი თეთრა“ უნდა გამოეზარდათ, ვალდებულებით კი 25 500. აქედან გეგმით 1176 ნეზვი უნდა ყოფილიყო, ვალდებულებით — 1190. მათვე 2 200 ტონა ხორცი უნდა მიეყიდათ სახელმწიფოსათვის, 2 400 ტონის მიყიდვა ივალდებულეს. სიტყვა საქმედ აქციეს და ზემოდჩამოთვლილი გეგმები პირველი ივნისისათვის, ხოლო ვალდებულებები პირველი ივლისისათვის გაანაღდეს. მე-11 ხუთწლედი და სახელმწიფო შესყიდვის გეგმაც ახევე პირველი ივნისისათვის შეასრულეს.

კომპლექსი სამი გარდამავალი დროშის მფლობელია, სამართლიანად ამაყობს უნარიანი, საქმისმცოდნე ადამიანებით. ავთანდილ აჩელაშვილს უქებენ სიტყვის გაუტეხლობას, კაცურ-კაცობას, ადამიანურ თვისებებს. სწორედ რომ მასზეა ნათქვამი, ხელმძღვანელი მუშაკის ყველა კეთილი თვისებით შემკულიაო, — გვითხრეს მისმა კოლეგებმა, — მიცემულ პირობას როდი გადავა, ტყუილი ჯერ არავისთვის უთქვამსო.

პროფკავშირის თავმჯდომარემ ზაირა ბარამაშვილმა კახელი ქალის სიდინჯით ნაწ-



ზაირა ბარამაშვილი ოპერატორებთან



მაყვალა უნაფქოშვილი

ყვეტ-ნაწყვეტ ჩამარცვლა სათქმელი და მადლიანი ღიმილი თან მიაყოლა. თანამიმდევრობით ჩამოთვალა თითოეული ოპერატორი: თინა თათრიშვილი გაპიროვნებულ 33 ნეზვს და 1300-ის ნაცვლად 1598 გოჭს უვლის ყოველწლიურად, თითოეულ სულზე 16-ის ნაცვლად 19 გოჭს იღებს და გეგმას 121 პროცენტით ასრულებს; ცისანა დიღმელაშვილმა ამდენივე ნეზვზე 1505 გოჭი მიიღო (თითოეულ სულზე 18) და გეგმა 115 პროცენტით შეასრულა, ლიანა მარტიშვილმა — 1530 გოჭი გამოზარდა, გეგმა 117 პროცენტით გაანაღდა, ქეთო დიღმელაშვილმა გეგმა — 108, ლუბა უსტიაშვილმა — 110, მაყვალა უნაფქოშვილმა — 120 და მედეა ნაცვლიშვილმა 115 პროცენტით შეასრულეს.

თითოეული მშრომელის საშუალო ხელფასმა 263 მანეთს გადააჭარბა. ყოველ ჯილდოს ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები ახლდა თან. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულებს ყოველი წლის ბოლოს ხალიჩებით, ფასიანი საჩუქრებით, საზღვარგარეთის საგზურებითა და ავტომანქანის რიგით აჯილდოებენ. კომპლექსში დღითიდღე იკიდებს ფეხს და წარმატებით ინერგება საიჯარო ბრიგადული მეთოდი. მისი სიკეთის წყალობაა დამატებითი ანაზღაურების ეფექტიანობა, უმჯობესდება მშრომელი ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები.

დღეისათვის რესპუბლიკაში მოქმედი სხვადასხვა მიმართულების 46 კომპლექსიდან ასე ღირსეულად მხოლოდ ოთხი ართმევს თავს ყველა დასახულ მოთხოვნას და მათ შორის პირველობას გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის მშრომელები არავის უთმობენ. მათი სახელი კარგა ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და ცნობილი გახდა მთელს საბჭოთა კავშირში. ეს წარმატებები იმ მიზანმიმართული და დაუღალავი შრომის შედეგია, რომელსაც დღენიადაგ ეწევიან კომპლექსის ხელმძღვანელობა და სპეციალისტები. აქ ხომ გადაუდებელ და აუცილებელ საქმედ კადრების მიზიდვა და ადგილზე შენარჩუნება მიაჩნიათ.

მტკიცედ შეკრული 393 კაციანი კოლექტივი საუკეთესო შრომითი დისციპლინით გამოირჩევა, ერთნაირი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით შრომობს ოპერატორი თუ მექანიზატორი, მძღოლი თუ მემინდვრე, საკვებმომპოვებელი, მშენებელი თუ მეცხოველეობის დარგის სხვა სპეციალისტი. მიზანი ერთია — შესაძლებლობათა ყველა მაქსიმუმის ამოქმედება, რეზერვების სრული, გონივრული გამოყენება.

კვლავაც გამარჯვებული გვენახეთ, გიორგიწმინდელებო!

ნანული ბუკია



თინა თათრიშვილი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ბრძოლასა და შრომაში ნაწრთობი

„აღვზარდოთ ახალგაზრდობა პირადი მაგალითით“, — მოგვიწოდა ჩვენი რესპუბლიკის ნაცადმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ე. ა. შევარდნაძემ. ეს ჭეშმარიტად მრავლისმეტყველი სიტყვები ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმ ადამიანთა დიდ საზრუნავზე, რომელთაც ცხოვრებამ ყველაზე ღირსეული მისია — პირადი მაგალითით ჩვენი ნათელი, ხვალინდელი დღის მშენებელი მტკიცე კომუნისტური რწმენის მქონე ახალგაზრდობის აღზრდა დააკისრა. და როცა პირად მაგალითზე ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანა ისახება, უპირველეს ყოვლისა, სრულიად ბუნებრივად მასწავლებელი გვაგონდება: მის ცოდნაზე, რწმენასა და პრაქტიკულ მოქმედებაზე, მის ცხოვრებისეულ პოზიციაზე დიდად არის დამოკიდებული მომავალი თაობის აღზრდა.

საბედნიეროდ, ისეთ მოწინავე პედაგოგთა რიცხვი, რომლებიც პირადი ცხოვრების მაგალითით ზრდიან მოსწავლე-ახალგაზრდობას, მცირე როდია. ამ სტატიაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის, საკმაოდ გამორჩეული, კოლორიტული პიროვნების შესახებ გვინდა გიამბოთ.

თბილისის 67-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის კომკავშირისა და პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანი ვენერა კალანდაძე.

1935 წელს 16 წლის გოგონა ალკკ რიგებში მიიღეს. იმავე წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის მეორე სამედიცინო ტექნიკუმი და შეუდგა შრომით მოღვაწეობას. რამდენიმე წლის მშვიდობიან საქმიანობას მალე საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომ--ში სამსახურის ხიფათიანი წლები მოჰყვა... ომი რომ 22 ივნისს დაიწყო, ვენერა კალანდაძე ხუთი დღის შემდეგ, 27 ივნისს, უკვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მას ჯერ ერთ-ერთ ნაწილში მოუხდა სამსახური, 1942 წლის თებერვლიდან კი, როცა იქმნებოდა [illegible]რთული დივიზია, იქ გადაიყვანეს. „ამ დივიზიაში გავიცანი მე ჩვენი ქართველი ხალხი, სათნო, კეთილი, გმირი ხალხი, — იგონებს ახლა პატივცემული ვენერა, — აქ იყვნენ კახელები, იმერლები, მესხები, გურულები, მეგრელები, სვანები, ლეჩხუმლები, რაჭველები და მათი სახით აქ მთელ საქართველოს ვხედავდი“. ამ წითელდროშოვან დივიზიასთან ერთად გაიარა მან სახელოვანი საბრძოლო გზა. მონაწილეობდა ბრძოლებში „მშფოთვარე და დაუდეგარი თერგის“ დაცვისათვის, მოზდოკის, იშჩორსკაიას, გრიკინსკაიას, კოლამატკის, ტამანის ნახევარკუნძულის და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის. სამშობლომ დააფასა თავისი ერთგული შვილის დამსახურება: იგი დააჯილდოვეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და მედლებით—„საბრძოლო დამსახურებისათვის“.



მ. პაპიაშვილის ოჯახი

შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი წევრი მაკრინე პაპიაშვილი დიდი ხანია პენსიაზეა. სამაგიეროდ, მისი შვილები განაგრძობენ ქვეყნის სასიკეთო სამსახურს. ათეული წელია, რაც მერაბ პაპიაშვილი შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერად მუშაობს. მისი მეუღლე, ელისო სოფელ კახინგილოს ვ. ი. ლენინის სახელობის ქართულ საშუალო სკოლაში ქართულ ენას ასწავლის ინგილო ბავშვებს. მეორე შვილი — ლამარა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“. 1944 წელს აქტიური კომკავშირელი ქერჩში სკკპ წევრად მიიღეს. რაოდენ დასაფასებელი, მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდისათვის ისიც, რომ, როცა ირგვლივ ყველაფერი იწვოდა, როცა მტერს დროებით უპირატესობა ჰქონდა და ზოგჯერ ფიზიკური გადარჩენის იმედი ფერმკრთალდებოდა, კომკავშირელ ვენერა კალანდაძეს ბედნიერი მომავლის მტკიცე რწმენა ასულდგმულებდა, ის მაინც სიცოცხლეზე ფიქრობდა. ამიტომაც იყო, რომ ომის ქარცეცხლიან დღეებში ფრონტზე დაქორწინდა, სამედიცინო სამსახურის კაპიტანთან ნიკოლოზ გოგესაშვილთან ერთად ოჯახი შექმნა.

ომის დამთავრების შემდეგ ქალბატონი ვენერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. ბეჯითად სწავლობდა, წარმატებითაც დაასრულა კურსი და აგერ, სამ ათეულ წელზე მეტია, თბილისის 67-ე საშუალო სკოლაში მოღვაწეობს.

ვენერა მასწავლებლისათვის იოლი არც მშვიდობიანი შრომა აღმოჩნდა. ახალგაზრდა მასწავლებელი ფიქრობდა: ან, როგორც იტყვიან, საიმედოდ დაიჭერდა კლასს, კარგად ასწავლიდა, დისციპლინაც ექნებოდა და, მაშასადამე, ავტორიტეტსაც მოიხვეჭდა მოსწავლეთა და საზოგადოების თვალში, ან თუ ამას ვერ შეძლებდა, მაშინ უნდა დამშვიდობებოდა სკოლას და საასპარეზოდ სხვა ადგილი აერჩია.

ახლა უკვე დამსახურებული პედაგოგი, განვლილი დროის გადასახედიდან გასცქერის მასწავლებლად მუშაობის დაწყების იმ პირველ დღეებს და, რაც მეტისმეტად მრავლისმეტყველია, მათ ომში ყოფნის წლებს ადარებს. „მუშაობის სამი თვის სტაჟი მქონდა, რომ გაკვეთილზე სამინისტროს ინსპექტორი დამესწრო. გამოსაკითხი მასალა აღარ მახსოვს, გადასაცემი კი აკაკის „ჩანგური“ იყო. ჩემის აზრით, დავამთავრე ყველაფერი, ლექსიც გავაანალიზე, დავალებაც მივეცი, მაგრამ ზარი მაინც არ ირეკება. გადის წუთები, რომლებიც საუკუნედ მეჩვენება, შემომყურებენ მოსწავლეები, ეტყობათ ჩემგან რაღაცის თქმას ელიან, მე კი ვდუმვარ და მწარე ფიქრს მივცემივარ: „გაკვეთილი ჩავარდა, ეს საშინელებაა, წამებაა, სიკვდილია. სამამულო ომის დროს ყოფილა შემთხვევა, რომ სიკვდილს პირისპირ შევყრივარ, მოვხვედრივარ საჰაერო ბრძოლაში, საარტილერიო ცეცხლში, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია. ამ საშინელებას ენით ვერ აღწერ, ის უნდა განიცადო...“ მოვალეობისადმი პიროვნების პასუხისმგებლობის ასეთი მაღალი გრძნობა, დიდ საფიქრალს გაუჩენს ახალგაზრდა დამწყებ პედაგოგებს.

ვენერა კალანდაძე ბუნებისაგან მომადლებული პედაგოგიური ალღოსა და საფუძვლიანი საუნივერსიტეტო განათლების წყალობით მოწინავე მასწავლებელთა რიგებში ჩადგა. ხარობდა კიდეც ბეჯითი შრომით, მაგრამ, მისი ძვირფასი მეუღლე ომისდროინდელმა ჭრილობებმა ცხრა წლის მანძილზე, სიკვდილამდე სარეცელზე მიაჯაჭვა. ქალბატონ ვენერას ოჯახური სიმშვიდე დაერღვა.

მას სამ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა: მეუღლისათვის ერთგულად უნდა მოევლო, შვილები სახელოვნად აღეზარდა და სკოლაშიც კარგი მასწავლებელი ყოფილიყო... და შრომასა და ბრძოლაში ნაწრთობ ნამდვილ ადამიანს არავისთვის არაფერი დაუკლია, თვითონ კი, ამდენ შრომატევად საქმეს შეჭიდებულს, აკლდა ძილიც, მოსვენებაც, მაგრამ მაინც ჰქონდა ერთადერთი, თუმცა ძვირადღირებული ბედნიერება, — გარჯით მოპოვებული სიხარულის, კანონიერი სიამაყის გრძნობის განცდა. მისი სიხარულია ორი კარგად აღზრდილი შვილი: ნანა — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი, გია — თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მთავარი ინჟინერი, შვილები და წლების მანძილზე შვილივით ნაზარდი მოწაფეები.

ახლა, როცა ათ წელზე მეტია, რაც დამსახურებული დასვენების უფლება აქვს, სკოლას მაინც ვერა და ვერ ელევა, რადგანაც მისთვის სკოლა კვლავ სიცოცხლის მიზანია. ამჟამად, როცა ფართო ფრონტით იშლება მრავალფეროვანი საქმიანობა სკოლის რეფორმით დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, ფასდაუდებელ მნიშვნელობას იძენს ვეტერანი პედაგოგის მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რომელსაც იგი გულუხვად, დაუზარებლად უზიარებს თავის კოლეგებს. პედაგოგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაკვეთილზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომ სრულყოფას, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომით, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. ამ მიზნით იგი მარჯვედ იყენებს არამარტო მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამულ მასალებს, არამედ დედაქალაქის ძველი უბნის (სადაც 67-ე საშუალო სკოლაა), ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობას, ქალაქის განახლებულ უბნებს — ნარიყალას, კრწანისს, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს, ხელოვნებისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმებს და სხვა.

ამაგდარი ადამიანი შრომის ფრონტზე გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, არის მეთოდისტი-მასწავლებელი.

დიდია საყვარელი მასწავლებლის პირადი მაგალითის ძალა.

**ს. დვალი,**

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სექციის თავმჯდომარე.

# ინგილოური იავნანა

ქალაქის ინტერნაციონალური საშუალო სკოლის ქართულ სექტორზე ნუკრისთვალება გოგო-ბიჭებს ქართულ ანბანს აყვარებს. ხელის კანკალით გამოჰყავთ ნატოს, ნათიას, ირმას, რომანს, კახას „ანი“ და „ბანი“. წლეულს ისინი მესამეკლასელები იყვნენ და დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის ძეგლთან პიონერთა რიგებში მიიღეს.

მაკრინე პაპიაშვილი, რომელიც მეთამბაქოედ მუშაობდა, ყოველწლიურად 4-5 ტონაზე მეტ თამბაქოს აბარებდა სახელმწიფოს. 70 წელს გადაცილებული მოხუცი სოფლის მემატიანეა. ჰკითხეთ რაც გნებავთ, — რევოლუციამდელი ცხოვრებაც, დიდი სამამულო ომის პერიოდიც, გაჭირვებაც, ყველაფერი კარგად ახსოვს.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა მაკრინეს ოჯახის ბედი. ხალხმა იმედით შეხედა მომავალს, — ხელები დაიკაპიწეს.

მაკრინე პაპიაშვილს იმ დღესაც საქმით გართულს მივუსწარით. პენსიონერი ვარ, მაგრამ უქმად რა გამაჩერებსო. 100 კილოგრამზე მეტ აბრეშუმის პარკს აბარებს სახელმწიფოს, ყოველწლიურად 1 ტონაზე მეტ ხორცს აძლევს სამშობლოს; შვილიშვილებსაც უვლის...

ნაღვლიანად მიუმღერის ხოლმე შვილიშვილებს: უშანგის, ინგას, ლაურას, ნაირას ინგილოურ იავნანას (ბახალას ინგილოურად მოფერებით პატარა ჩვილ ბავშვს ვეძახით). დიახ, მაკრინე ბებია შეჰხარის თავის შვილიშვილებს, ერის გამრავლებას.

**ვ. ოქროჯანაშვილი,**

კახის რაიონული გაზეთის „შელალეს“ („ჩანჩქერი“) კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

დალი ფიროსმანაშვილი

# მამიდა

ვინ იცის, უკვე რამდენი თაობის მამიდების მამიდაა ჩვენი ეფემია. მე რომ მომიყვანეს, ეგ კარგად ფრთამოსწორებული დამიხვდაო — ეგრე იტყოდა ხოლმე საცოდავი მანანა. მანანა ეფემიას უფროსი დის სწორი იყო. ეფემიას უფროსი და — მღვდლიაანთ ირაკლის ტოლი. მღვდლის ცოლმა კიდევ ირაკლიზე რომ მოილოგინა, მკათათვე იდგა.

აი, რა დიდი ძალი ხნისა იყო ეფემია მამიდა. შენ ხანი უთხარი და, სმენა არ აკლდა და თვალის ჩინი. ექიმი არა სჭირდებოდა და წამალი.

— ეს რანაირ შაქარს არიგებენ, ხელში იფხვნება, კბილებამდე მიტანა აღარ უნდაო, — წუწუნებდა და ჩაის გემოს ველარ ატანდა.

— თითებისათვის თავი ველარ მომიყრია, თავის ნებაზე მეფშიკებაო, — და მალვივ თუ ცხადლივ ხშირად დაიყურებოდა ხელებზე. ვერ გაიგებდი, საჩეჩელთან დაჯდომა ეზარებოდა, ტარის ბზრიალი, წინდის ჩხირების აღება თუ მართლა ელოლიავებოდ-ეთხოვებოდა ლამაზ თითებს. აღარც სამურაბე კაკალს ფცქვნიდა — ქვრივი ვარ და წენგოიანი ხელები აღარ მეკადრებაო. ბევრ რამეზე აიღო ხელი. მარგვლასა და ამბების მოყოლას მოუხშირა.

ამბავიც ბევრი არა იცოდა რა:

ადრე წასული დედისა — თვალები მოუყივყივდებოდა და ამოიოხრებდა ხოლმე.

კარგი დედინაცვლისა — განა მარტო ავები არიანო.

ჭაბუკი მამის სიკვდილისა.

თავისი დაზრდილი ძმებისა — ყოჩაღი ცოლები შეხვდათ, კარგად უვლიან ბიჭებსაო.

ერთი-ორი მოამაგე ბებიისა.

ორიოდეც ლეკიანობისა.

ეს იყო და ეს. ქმარ-შვილზე ლაპარაკი არ უყვარდა.

მხოლოდ ერთ რამეში გაიძულებდა სიფრთხილეს — გვარი არ უნდა გეკითხა და ჩამომავლობა, თორემ მოდგებოდა და ჩამოთვლიდა თავისას, დედ-მამისას, პაპა-ბებიებისას, ახლა იმათი პაპა-ბებიებისას და იმდენი იყო... ჩამოკენჭავდა. ისევ თავიდან დაიწყებდა. ახლა ბოლოდან შეჰყვებოდა. ერთ იმისთანა გვარსაც გაურევდა, არსაიდან რომ არ ერგებოდა და ხასიათში ჰქონდა მარტო. არ შეეშლებოდა. ყველას თავის ადგილზე იტყოდა. აი, ქმრისას კი ივიწყებდასავით. გაახსენებდი და კვინტობდა: ეგ რა ჩემი გვარია, მივთხოვდი, სისხლი და ჯიში კი არ გამომიცვლიაო.

წინსაფრის ჯიბეში გამოულევლად ეყარა კანჭა და კლერტი. გუნებრივად ირჯებოდა. არც ვინმეს უჯავრდებოდა და არც აჯავრებდა. თუ როგორღაც პატარათაგანი გაუძალიანდებოდა და შეაბეზრებდა, აი შე სანაცილევო, — ეს იყო იმისი წყევლაც და დატუქსვაც.

ყველა უყვარდა. გამორჩევით არავის არჩევდა.

სხვათა საქმეში ჩარევა არ იცოდა. დარიგებებისაგანაც თავს იკავებდა. საქეზარს გააგონებდი — დახეთ, ეგ როგორ უქნიაო და საძაგებელს, ისევ — დახედეთ, ეს როგორ უქნიაო. განა რა უნდა მომხდარიყო, ამბავში გარეულიყო და სიტყვა ეთქვა.

ყველას გასაკვირად კი მოხდა ასეთი ამბავიც:

ექიმს, ექთნებსა და მასწავლებლებს ელიის ძირში დაუძახეს, ჯარის საქმე უნდა ასწავლონო — რაღაცნაირად მოჰკრა ყური დარხეულ ხმას. ექიმი იმისი ძმისწულისწული იყო.

არც აცია, არც აცხელა, მოიხსნა წინსაფარი და გაიხურა კარი. ეზოდან იმის გასვლას მიუჩვევლებს თვალიც არავის გაუყოლებია

იმისთანა ხუსხუსით შეუყვა თავშელმართს, შორიდან ვინმეს რომც შეენიშნა, ვერ იცნობდა.

მიიჩქაროდა და:

— მაგათ გაუწყრეთ ელიის მადლი და ძალი. ელიის ძირში... ჩხუბიო... რომელი ჩხუბი. ამ დიდი ჩხუბიდან რად დამიბრუნდნენ ცოცხლები ჩემი ბიჭები? იმიტომ დამიბრუნდნენ, რომ იმათი სახელო არ იყო.

**— მარიკოო, მარიკოოო... — ახლოს მისვლა გულმა აღარ მოუთმინა.**

**— მარიკო, — გულამოვარდნილი მიაწყდა ჭიშკარს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, მამიდა? — არანაკლებ გულგახეთქილი გამოეგება ქალი.

— სად დაგიბარეს?

— რა მოხდა, მამიდ?

— ჯარის ბიჭებთან დაგიძახეს?

— ხო. რაო? — გულზე მოეშვა ძმისწულისწულს.

— რაღა რაო. ქალის ჩხუბი ვინ გაიგონა? ფეხი არ გაადგა!

— არ შეიძლება. როგორ შეიძლება. თავდაცვით მომზადებას გვიმოწმებენ. ექიმის წაუსვლელობა გამიგია? — უკვე იღიმებოდა მარიკო.

— ექიმი! შენც ადექი და უთხარი, დიპლომი დავკარგე და რაც ვიცოდი დამავიწყდა-თქო. მომზადება! რა მომზადება ჩხუბს უნდა? დაგიჯერებია. არა გნახო წასული! — დაუგდო მოკლე დარიგება თუ მუქარა და ჩქარავე იბრუნა პირი საბუდრიდან გამოსვლას გადაჩვეულმა.

მიბარგანაობდა თავდაღმართში და მიბუტბუტებდა:

— ამან კიდევ, ომიო. ნეტა ვის რაღად უნდა ომი? ვისა შია ან ვისა სწყურია? ომი აღარ იქნება. რიღასთვის იქნება? ლეკები აღარ ჩამოდიან. ეტყობა, იმათაც გაიჩინეს საქონელი. შირაქის მხრიდანაც ხომ აღარა და აღარ გვედავებიან. ომი! ამათ არ იციან, ციხეებს შამბი რომ მოეკიდა? როგორღა იქნება ომი? ეს რაღა მოიგონეს?

გამოეგება ჯალაბობა. შესცინეს. ამბავს ეფემიაზე ჩქარა მოეღწია. ათასი რამე ჰკითხეს ათასნაირად. ფრთხილად ჰკითხეს, მაგრამ მაინც ჰკითხეს. მიეფერნენ. განაწყენებას მოერიდნენ, მაგრამ აბა სულ რომ არაფერი ეთქვათ, რომელს მოუთმენდა გული.

— მაშ მარიკოს არ უშვებ?

— იმის მაგიერად რომელი წავიდეთ?.

— ექთნებმა რაღა მოიმიზეზონ?

— რა ვქნათ, მასწავლებლისთვისაც გვერჩია რამე...

წაუყრუა.

ვითომც აქ არაფერიაო, ისევ აიფარა წინსაფარი. ჯიბიდან ჩამჭკნარი ნამარგლი გადმოყარა და ვენახში შევიდა.

სხვის საქმეში ჩარევა ხომ არ უყვარდა...

## სულთმომფინობა

— გოგოო, ადე, თუ გინდა... — ეს დედაჩემია.

— უჰ, მინდა, როგორ არ მინდა. სასაფლაოზე მიდის ბებია. მეც წავალ. სულთმომფინობაა. გუშინ საღამოს ყველანაირ ჩხირს წავატეხეთ კინწრები, ყველანაირი ბალახი მოვეწყვიტეთ. საფლავზე უნდა გავიტანოთ.

— ბები, მოვდივარ, მზის ამოსვლას უნდა დავასწროთ?

— ბები, სანთლებიც უნდა?

— ეგ ცარიელი კოკურა რაღად გინდა...

— ხმა გამეცი, ბები.

ჩუმად მივდივართ. ბებიამ სოფლის ბოლოში ხუთმილა წყლისკენ გადაუხვია. ეს ახლაა სოფლის ბოლო. თავიდან შუაგული იყო. ხუთმილაც მაშინ ერქვა. ხუთი მილიდან გადმოდიოდა წყალი. ისეთი მლაშე იყო, კოკებს სულ მარილის თეთრ-თეთრ მეჭეჭებს დააყრიდა ხოლმე. მაღალი თაღი და სამი დიდი ნავი ჰქონდა ქვითკირისა. ერთში სასმელად იღებდნენ, ერთში საქონელს ამწყურვალებდნენ და ბოლო ნავში სარეცხს ავლებდნენ ხოლმე დედაკაცები. იყო ერთი ზუზუნი, ყაყანი, შეკმაზული ვირების საკოკეების ჯახანი და ამ გნიასში სოფლის ავან-ჩავანი უფრო ხალისით ირჩეოდა. ეს მაშინ იყო. ახლა ერთი მილიდანღა მოწანწკარებს მლაშე წყალი. ნავებიც დაპატარავებულ-დადაბლებულა. მაინც ხუთმილა ჰქვია. მაინც ის არის ყველაზე გემრიელი წყალი.

— იქით რა გვინდა, სასაფლაოზე აღარ მივდივართ? ჩქარა, აანგე, ველის წვერი გაწითლდა. მზე ამოვა, ჩქარა.

ხუთმილასთან შავჩადრიანი ქალები შეგვხვდნენ. ლანდებივით გაიარ-გამოიარეს. ბებიამ კოკურა წყლით აავსო.

— ვიშ, რა ენა აიქაერე, შე ხანაცილევ, წყალი უმძრახი უნდა აგვეღო.

ჯერ კარგად არ იყო გათენებული. საფლავებზე სანთლები ენთო. ზოგან მოთქმითაც ტიროდნენ. ზოგან მუშტისტოლა შავი ტანისამოსი ჩუჩუნებდა. ზოგან გულხელდაკრეფილები ელოდებოდნენ სანთლის ჩაწვას.

რაც მოვიტანეთ, საფლავზე გავშალეთ. სანთელიც აავანთეთ. მე ვიტირე. ბებია იჯდა.

ჩაქრა სანთელი. ბებიამ კოკურა აიღო და წამოვედით. ერთ საფლავს მძიმედ დათალხული ქალი ქოთლიდან წყალსასხამდა.

— ბები, ბები, ჩვენ რომ დაგვავიწყდა წყლის დასხმა?

— ბები, წყლის დასხმა დაგვავიწყდა-მეთქი საფლავზე. თუ აქედანაც უმძრახად უნდა დავბრუნდეთ?

— უმძრახად არა! ილაპარაკე, შენ მაინც არ მოგასვენებს გამჩენი. წყალი, რა წყალი უნდა დამესხა, იქ რა, ჩემი სიყვარულით იწვის და უნდა გავაგრილო თუ...

## იტო

ორი ბიჭი ჰყავდა იტოს. უმცროსი ღლეტურა იყო და სალამურზე უკრავდა, უფროსი გულჩათხრობილი და თავისნათქვამა. უმცროსს, კოჟანდრის კვალობაზე, ანებივრებდნენ. უფროსს უფროსივით ეკიდებოდნენ.

დახელთილი დედაკაცი იყო იტო. მაგრამ დილით ეზო-ყურეში რომ მიდგებ-მოდგებოდა, მაინც ფუსფუსს ემსგავსებოდა იმისი წელგაფშეკილი მიხვრა-მოხვრა...

გაღმა ქედიდან მზე რომ ამოიწვერებოდა, ერთ ხელს წელზე შემოიდებდა, ერთს საფეთქელთან მიიტანდა და:

— ადექით, აღარ უნდა ადგეთ, აანგე, ჯიჯიას ბიჭებმა წყალი უკვე მოიტანესო, — აღვიძებდა შვილებს.

უფროსი ყოჩაღი ჰყავდა. უმცროსი ნებიერი. გაღმა სოფლის სკოლაში სწავლობდნენ. უფროსი ველოსიპედით დადიოდა, კოჟანდარი — ფეხით. უფროსს ის უფრო ართობდა, შორ გზაზე რკინის ორფეხი რომ უფუჭდებოდა. შლიდა, აწყობდა და თავი მოსწონდა.

ერთ ზაფხულს უფროსმა სკოლიდან ნიშნების ფურცელი მოიტანა. შიგ იყო „ფრდ", ბლომად „კარგი", საკმარისად „საშ" და ორი ცალიც „ცდ".

იტო ჩაქარაგმებულ შეფასებას ვერ ჩახვდა. უფროსმა დაიმრგვალა ჭკვიანი თვალები და:

— ეს ფრიადია, ესა კარგადა სწავლობსო, ესაო საშუალო ხარო, ეს კიდევაო, აი, „ცდ", ეს კიდევაო... ცდილობსო.

— შე მამაძაღლო და, თუ კარგად სწავლობ, მაშ საშუალო რაღადა ხარო? — ეჭვი აიღო მამამ.

— არა უშავს რა, კაცო, კარგად ისწავლოს და საშუალო იყოს, უფრო არავის შეეჩხირება თვალებში. მაგრამ აი „ცდილობსო" რომ ცოტას ამბობენ? მემრის ეგრე აღარა ჰქნა. ბევრი ეცადე, ბიჭო, ბევრი.

### მეათე კლასი

იღვიძებს მდელო,
იშლება ვარდი,
აფრენას ცდილობს ბუდიდან ბარტყი.
ჩვენც ბარტყებს ვგავართ, და გული ღელავს,
ჩვენი ფრთებისთვის მადლობა ყველას!
ჩვენს ძვირფას აღმზრდელს
ვარდებს მივართმევ,
ო, როგორ გატკბა
კლასი მეათე!
ვეტყვი, რა სწრაფად გავიდა განა
ეს ათი წელი, ეს ოქროს ხანა!
კვლავ მეგობრებო, ერთად ვიაროთ
ერთად ავმაღლდეთ, ერთად ვიალოთ,
რაც მთავარია: ჩვენი ვალია,
სამშობლოს ლხინი გავიზიაროთ!

ია აბუაშვილი,
სოფ. გლდანის საშუალო სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





იური ანოხინი

# ზეიმი ჩერვენევოში

ამაზე ბევრი რამ დაწერილა — ლექსები და ნარკვევები, მოთხრობები და პოემები. იმიერკარპატეთის სოფელ ჩერვენევოს მცხოვრებთა გმირობა საუკუნეთა მანძილზე არ ამოიშლება ხალხის მეხსიერებიდან. დიახ, მართლაც გმირობა! სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმ გლეხების საქციელს, ომის სისხლიან დღეებში სხვადასხვა ეროვნების 186 ბავშვი — ჩვენი სამშობლოს და უცხოელი პოლიტ-ემიგრანტ კომუნისტების ბავშვები რომ იხსნეს დაღუპვისაგან.

მე ხელთა მაქვს როზენბერგის მოადგილის დეპეშა, რომელიც მას მუშახელის დარგში იმპერიის გენერალური რწმუნებულისთვის — ზაუკელისთვის გაუგზავნია:

„ბერლინი. 1944 წლის 11 ივლისი. გაცნობებთ შემდეგს: სამხედრო რაზმი „ცენტრი", რომელიც აქამდე მოსკოვში იმყოფება, განაგრძოს მუშაობა რაიხის სამხედრო საწარმოებისათვის არასრულწლოვანი რუსი და ბელორუსი მუშების გამოსაგზავნად. ამას გარდა, რაზმს ევალება, რაიხისათვის გამოგზავნოს 10-დან 14-წლამდე არასრულწლოვანები, რათა... როგორც ფიურერმა ბრძანა, სხვა დავალებათა შორის, უპირველესად, შესრულდეს სამხედრო დავალებები".

1943 წლის გაზაფხულზე ბელორუსიაში, ბარანოვიჩთან ახლოს, სოფელ ლიტლოვოში ფაშისტებმა დააარსეს ბავშვთა თავშესაფარი, რომელშიც ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან სამასამდე ბავშვს მოუყარეს თავი. კვება და რეჟიმი აქ კატორღული იყო. ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდნენ შიმშილისა და ავადმყოფობისაგან.

საბჭოთა ჯარების ფართო ფრონტით შეტევის შედეგად ფაშისტი დამპყრობლები უფრო და უფრო ექცეოდნენ ჩვენს რკალში. ფრონტი სულ უფრო ახლოვდებოდა. 1944 წლის ივლისში, საბჭოთა ჯარების შემოსვლის რამდენიმე დღით ადრე, ფაშისტმა ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა ბავშვები თავშესაფრიდან გაყარეს და სადგურში მირეკეს, იქ ისინი სამხედრო ეშელონის ვაგონებში შეყარეს და დასავლეთისაკენ გაუყენეს გზას.

უკანდახეული ფაშისტების მატარებელს, რომელშიც ბავშვებიც იყვნენ, სადგურ ჟორნავოს რაიონში ავიაცია დაესხა თავს. ბავშვებმა ტყეში გაქცევა მოახერხეს.

ვილაცამ შეამჩნია ტყეში გახიზნული ბავშვები. შიმშილისაგან ღონეგამოცლილნი ხეებსა და ბუჩქებს შორის ბალახებზე დაბობღავდნენ და ბალახებსა და ფოთლებს ჭამდნენ. ისინი ჩამოფლეთილნი იყვნენ, ბევრ მათგანს შიმშილისაგან მუცელი დასიებოდა. ძლივს იდგნენ ფეხზე. დასნეულებულებს სახე გაყვითლებოდათ.

ოლქში სწრაფად გავრცელდა ბავშვთა ამბავი. ისინი სოფელ ჩერვენევოში გადაიყვანეს, სადაც ორთვენახევარს ცხოვრობდნენ. გლეხებმა 186 სიცოცხლე იხსნეს, ფაშისტურ საფრთხეს არ შეუშინდნენ და გადაარჩინეს...

და აი, დაჰკრა დამპყრობთაგან გათავისუფლების ჟამმა. იმ დღით, 1944 წლის 25 ოქტომბერს, სოფელში პირველი საბჭოთა ტანკი გამოჩნდა. ეს მე-18 სადესანტო არმიის ავანგარდის მანქანა იყო. ახდილი ტანკიდან საბჭოთა ტანკისტის მოღიმარე სახე გამოჩნდა. მისკენ სირბილით მიეშურებოდნენ წითელყელსახვევიანი ბავშვები. ისინი მანქანისკენ მირბოდნენ, ალისფერი ვარსკვლავები მოუჩანდათ, სიხარულისგან კიდეც იცინოდნენ, კიდეც ტიროდნენ და ხმამაღლა იძახდნენ:

— ძია, ჩვენ თქვენები ვართ, თქვენები! საბჭოეთისანი ვართ!

რუსი და ბელორუსი ბავშვები, უცხოელი კომუნისტი-ინტერნაციონალისტების ბავშვები, რომლებიც უბედურებაში ჩაცვივდნენ, ასე გახდნენ იმიერკარპატეთის უკრაინელებისათვის ღვიძლნი და სისხლხორცეულნი, საბჭოთა ხალხის — მათი ძმებისა და დების შვილები, ასე იქცნენ იმათ გოგონებად და ბიჭუნებად, ვინც ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდა.

აი რა მიამბო „ლიტერატურნაია გაზეტას" სარედაქციო კოლეგიის წევრმა მწერალმა ბორის გალანოვმა:

1944 წლის შემოდგომა იყო. ჩვენი მე-18 სადესანტო არმია, სადაც მე საარმიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის კორესპონდენტად ვიყავი, ბრძოლით მიიწევდა წინ, დასავლეთისაკენ. ჩვენ კარპატებში შევედით. მოსკოვი სალუტით მიაგებდა პატივს ჩვენს ჯარებს, რომლებმაც ქალაქები მუკაჩევო და უჟგოროდი გაათავისუფლეს. ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა ჩოპის, მთელი ამიერკარპატეთის გასათავისუფლებლად.

სოფელ ჩერვენოვოში ჩვენ, საბჭოთა ჟურნალისტებმა ცოტახანს დავყავით: რედაქციაში მიგვეჩქარებოდა, რათა ბავშვების პოვნის ამბავი მორიგ ნომერშივე მოგვეთხრო მკითხველისათვის. იმ დღესვე, 1944 წლის 4 ნოემბერს, როცა ჩვენი გაზეთის „სამშობლოს დროშის“ იმ ნომრის ტირაჟი იბეჭდებოდა, რომელშიც აღნიშნული მასალა იყო მოთავსებული, ჩვენ შევიტყეთ, რომ ბავშვებთან უკვე გაეგზავნათ ექიმები, ტანსაცმლით, სურსათითა და საჩუქრებით სავსე ავტომანქანები და თვითონ ბავშვები კი სოფელ მუკაჩევოს ჰოსპიტალში მოეთავსებინათ სამკურნალოდ და დასასვენებლად.

1979 წლის 10 იანვარს გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ მწერალ ვალენტინ ტომინის წერილი გამოაქვეყნა, რომლის სათაური იყო „მობრძანდით ჩერვენევოში!“ ამ წერილში იმ ბავშვების ამბავი იყო მოთხრობილი, რომლებიც ამიერკარპატეთის გლეხებმა და საბჭოთა არმიამ გადაარჩინეს, იმათი ამბავი იყო ნაამბობი, ვინც ბედმა ამ ბავშვებს შეახვედრა... ვისაც კი ამ ამბავთან საერთო აქვს რაიმე, მწერალი ყველას სთხოვდა გამოხმაურებას, ეპატიჟებოდა სოფელ ჩერვენევოში გლეხებთან შეხვედრაზე...

და აი, დიდი ხნის ნანატრი შეხვედრაც! ის შარშან ზაფხულში გაიმართა. დანიშნული დღისათვის უჟგოროდის სასტუმროში „დრუჟბა“ „ჩერვენევოს ბავშვებით“ გაივსო.

მომმე ბულგარეთიდან ჩამოვიდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გლუკოზიო, — პალმირო ტოლიატის თანამებრძოლის, იტალიელი კომუნისტის ჯუზეპე პავეზის ქალიშვილი. ჩერვენოვოში რომ მოხვდა, ის 14 წლისა იყო და ახლა ლამაზი, მოხდენილი გოგონა სოფლის ყველა მცხოვრებს გაახსენდა.

ვლადიმირის ოლქის ქალაქ პეტუშკიდან ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ივანე შუტოვი. 1944 წელს ის 12 წლისა იყო.

მოსკოვიდან ეწვიათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ვლადიმერ მარსინი. კომინტერნის კორეის სექციის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანის შე სუნ მინის შვილი. მაშინ ვალოდია 11 წლისა იყო.

შორეული ციმბირის ირკუტსკის ოლქის დასახლება მამიდან ჩამოფრინდა ადგილობრივი აეროპორტის რადიოოპერატორი ირაიდა ბერკოვსკაია (ქმრის გვარით — უვაროვსკაია). ჩერვენევოში ირას 10 წელი უსრულდებოდა.

ბელორუსიის ვიტებსკის ოლქის ქალაქ ლეპელიდან ჩამოვიდა გაერთიანება „სოფლქიმიის“ მექანიზატორი, „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ანატოლი ანდრონჩიკი. ტოლია მაშინ მხოლოდ ოთხ წელს ითვლიდა.

ქალაქ ბელგოროდიდან ჩამოვიდა ტოლიას უფროსი და, ქალაქის საბინაო სამმართველოს ტექნიკოს-ზედამხედველი გალინა ანდრონჩიკი (ქმრის გვარით — ვესელოვა). ჩერვენევოში და-ძმა ერთად იყვნენ. მაშინ გალია 9 წლისა იყო.

მეზობლად მდებარე მუკაჩევოდან მოვიდა კომპლექსური ლაბორატორიის ქარხნის მოსამსახურე ვასილ კაგანი. ჩერვენევოში რომ იყო, მაშინ ვასიას სამი წელიც არ შესრულებოდა. მას თავისი მშობლებიც კი არ ახსოვს. პატარა ვასია მუკაჩევოს მცხოვრებმა ივანე კაგანმა იშვილა და გაზარდა, — „ივანე ძიამ“, როგორც ქალაქში მას სიყვარულით ეძახიან. ივანე კაგანი — ამჟამად პერსონალური პენსიონერი, — ძველი კომუნისტი-იატაკქვეშელია, ესპანეთის ინტერნაციონალური ბრიგადის ნებაყოფლობითი წევრია, რომელიც ლეგენდარული უნგრელის, — გენერალ ლუკაჩის, — მწერალ მათე ზალკას მხარდამხარ იბრძოდა.

ბოლოს „ჩერვენევოელი ბავშვების“ ჯგუფს შემოუერთდა უჟგოროდის საოლქო საავადმყოფოს გაზის ოპერატორი მიხეილ ბირიუკოვი. ისევე, როგორც ვასილს, მიხეილსაც არ ახსოვს მშობლები. სახელი მას ორლოვის ოლქის საბავშვო სახლში დაარქვეს, გვარიც იქვე გამოუგონეს და მამის სახელიც, წლოვანებაც ვარაუდით იქვე დაუდგინეს. ამ სახლში, სადაც ჩერვენევოს შემდეგ მოხვდა, ის, ასე 5-7 წლისა იქნებოდა. უჟგოროდის რაიონის სოფელ დუბროვკაში, სადაც თავისი ბედი ჰპოვა, ის უკვე თითქმის ოცი წელიწადია ცხოვრობს.

ბოლო არ უჩანდა შეკითხვებსა და მოგონებებს. საუბრობდნენ თავიანთ ცხოვრებაზე, თავიანთ ოჯახებზე, ერთმანეთს უჩვენებდნენ თავიანთი ბავშვების ფოტოსურათებს. იმ ადამიანთა ბედზე საუბარი, რომლებიც საზეიმო შეხვედრაზე მოვიდნენ, მოკლედაც კი გამიჭირდება. ეს ცალკე, საგანგებო წერილის თემაა. თითოეულის ბედი რთულია, ტრაგიკულია, ომის ხანძრით არის გატრუსული.

მოუშუშებელი, ღრმა ჭრილობები სამუდამოდ დარჩა „ჩერვენევოელ ბავშვთა“ გულებში. ივანე შუტოვის დედა ფაშისტებმა შვილების თვალწინ მოკლეს! მისი ორი პატარა და საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა. ირა ბერკოვსკაიას დედა, უიარაღო ქალი, პარტიზანებისაგან პანიკური შიშით მოცულმა ფაშისტებმა მხოლოდ იმის გამო მოკლეს, რომ რკინიგზის ლიანდაგთან ახლოს გაიარა! ახლა ობლების — ვასილ კაგანისა და მიხეილ ბირიუკოვის ბედს აღარ იკითხავთ! — მიხეილი ახლაც ოცნებობს იპოვნოს სამშობლო, სოფელი და თავისი ახლობლები!

და აი, „ჩერვენევოელი ბავშვები“, როგორც იქნა, შეხვდნენ ერთმანეთს. მათ ისევ ამიერკარპატეთში მოუყარა თავი მწერალმა ვალენტინ ტომინმა, სადაც შეხვდნენ ყოფილ სამხედრო კორესპონდენტს ბორის გალანოვს, მაგრამ მთავარი შეხვედრა — ჩერვენევოში, — ჯერ წინ იყო...

ერთ მშვენიერ მზიან დღეს სანატრელი სტუმრები სოფელს ეწვივნენ. „ჩერვენევოელ ბავშვებს“ დანიშნულ დროზე გაცილებით ადრე, დილაადრიანადვე ელოდნენ სოფლის მცხოვრებნი მარიამ დოვგანიჩი, ელენე და ანდრია კურტები, განა, მარიამ და ივანე რეშეტარები, დიმიტრი მიკიტა... ძნელია ყველას ჩამოთვლა! მათ არა თუ ახსოვდათ შორეული 1944 წლის ბავშვები, არამედ თვითონ იყვნენ მათთვის თავშესაფრის მიმცემნი, მშობელთა მაგიერნი, ლუკმა-პურის შუაზე გამყოფნი.

სოფლის მოედანი საზეიმოდ გამოწყობილი ხალხით არის სავსე. მოუთმენელი მოლოდინი. ყვავილთა თაიგულები. უნდოდათ არ ჩაშლოდათ საზეიმო რიტუალი... მაგრამ „ჩერვენევოს ბავშვები“ მოედანზე ჯერ არ მისულიყვნენ, რომ ავტობუსიდან პირდაპირ თავიანთი მფარველი დედობილებისა და მამობილების, დობილებისა და ძმობილების ალყაში მოექცნენ. სოფლელებმა იცნეს ყოფილი ბავშვები. სიხარულისა და მღელვარების ცრემლები ლაპარაკს უშლიდათ...

დიდი ზეიმი სუფევდა ჩერვენევოში.

ამიერკარპატეთის ნათელი მზე და სიმწვანეში ჩაფლული თვალწარმტაცი ბაღები. სტუმართა და მასპინძელთა ღიმილი და სიხარულის ცრემლები. ალმები და ტრანსპარანტები. ომში დაღუპული გმირების ძეგლებთან მიტანილი ყვავილები. მისასალმებელი სიტყვები. მუსიკის მჟღერი ჰანგები. სტუმართა საპასუხო გამოსვლა. სოფლის კლუბში გამართული კონცერტი... ჩერვენევოელთა სტუმართმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა. არავის უნდოდა სტუმრების სხვასთან გაშვება, მაგრამ განა შეიძლებოდა სტუმართმოყვარე ხუთასოჯახიანი ახალი ჩერვენევოს ყველა ოჯახში ყოფნა, განა მოხერხდებოდა მისი ორიათასზე მეტი მცხოვრების ყველა ოჯახში სტუმრობა!

საღამოს, სოფლის კლუბში მქუხარე ტაშის გრიალმა დაფარა სოფლის საბჭოს იმ დადგენილების სიტყვები, რომლის ძალითაც ზეიმზე მყოფ ყოფილ ბავშვებს სოფელ ჩერვენევოს საპატიო მცხოვრებთა წოდება მიენიჭათ.

და როცა „ბუჰენვალდის განგაშის“ გამაფრთხილებელი, საგანგაშო მელოდია გაისმა, მაშინ ყველამ, ვინც დარბაზში იყო, წამოიწყო: „მსოფლიოს ხალხებო, ერთი წუთით ადექით ფეხზე“. ფეხზე წამომდგარმა ჩერვენევოელებმა და სტუმრებმა, ხელიხელს გადაჭდობილებმა, როგორც საზეიმო დაურღვეველი ფიცი, ისე გაიმეორეს:

„გაუფრთხილდით!
გაუფრთხილდით!
გაუფრთხილდით მშვიდობას!“

თარგმნა ალ. გეგაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციხისძირი. დედათა და ბავშვთა სანატორიუმში „ცისარტყელა“.











დ. იაკობაშვილის სლაიდები



გალინა სერბინა

# პაუსტოვსკის გმირის პროტოტიპი

1932 წლის ზაფხულში მოსკოვის წყალთა მეურნეობის საინჟინრო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი გალინა სერბინა ტაშკენტის მეურნეობაში გაემგზავრა სამუშაოდ. პირობები რთული იყო, მაგრამ სამელიორაციო სამუშაოები წარმატებით შეასრულა და სწავლის განსაგრძობად კვლავ თავის ინსტიტუტს დაუბრუნდა.

გალინა სწავლის პარალელურად სხვადასხვა საორგანიზაციო დავალებებსაც ასრულებდა, მუშებს წერა-კითხვას ასწავლიდა, რისთვისაც 1932 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი, მოსკოვის ბაუმანის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

1934 წელს გალინა არკადის ასულ სერბინას ბედნიერება ხვდა წილად, — საბჭოთა სპეციალისტის დიპლომი მიიღო, უარი თქვა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაზე და სამუშაოდ ფოთში ჩამოვიდა.

კოლხეთის მიწა-წყალზე გალინა სერბინა პირველი ქალი იყო, რომელიც ჭაობების ამოშრობას შეუდგა. მაშინ მელიორატორებს მძიმე პირობებში უხდებოდათ შრომა. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას მექანიზმები აკლდა და ბევრი სამუშაო თითქმის ხელით სრულდებოდა.

ახალგაზრდა რუს გოგონას უყვარდა თავისი საქმე, საქართველოში კოლხეთის ჭაობიან ველებს აშრობდა, და მის მომავალზე, აყვავებაზე ფიქრობდა.

1937 წელს გალინამ თავისი ბედი ახალგაზრდა ქართველ მელიორატორ-ინჟინერს გიორგი ჯაფარიძეს დაუკავშირა. ამ ბედნიერი ქორწინების შემდეგ გალინა, რუსი ქალი კოლხეთის მკვიდრი გახდა და მეუღლესთან ერთად გაუვალ ჭაობებში ახალი საპროექტო სამუშაოების შესრულებას შეუდგა.

ახლაც ახსოვთ ვეტერანებს „ჭალადიდისა" და „ქვალონის" მასივებში გალინა სერბინასთან ერთად რა თავდადებით მუშაობდნენ. მისი მეუღლე გიორგი ჯაფარიძე, გარდაცვალებამდე, მთელი 40 წელი მელიორაციის საქმეს ემსახურა. ისინი ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ, საყვარელ საქმეზე ხშირად გაცხარებით კამათობდნენ.

1934 წელს გალინა სერბინა კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

მწერალმა არკადი პაუსტოვსკიმ თავის ნაწარმოებში — „კოლხეთში" გალინა სერბინა ნევსკაიას პროტოტიპად გამოიყვანა. მან აღწერა, თუ როგორ გარდაიქმნა გაუვალი ჭაობები აყვავებულ ფორთოხლების ხეივნებად, თუ როგორ დაუღალავად შრომობდნენ კოლხეთის აყვავებისათვის გალინა სერბინა და მისი მეუღლე გიორგი ჯაფარიძე.

გალინა სერბინა ჩვენი რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორია და დღესაც, 75 წლისა, ჭაობიანი ტრასების გასაკვალავად დიდ ენერგიას ახმარს საპროექტო სამუშაოების შესრულებას.

ნამდვილად აჩნია აყვავებულ კოლხეთს გალინასი და მისი მეუღლის მადლიანი ხელი!

ვ. ლეკიაშვილი





გ. სანაიას ფოტო

# მშობლები

„ლამაზად შვილის აღმზრდელი,
დედა მიჩენია ღმერთადო"
ვაჟა

დედა! — ესოდენ ძვირფასი სიტყვა არ არსებობს მგონი ქვეყანაზე.

დიდია დედის როლი შვილების აღზრდის საქმეში. ჩვენი შვილები უნდა აღიზარდონ კომუნისტური სულისკვეთებით, რაც უპირველეს ყოვლისა შრომით აღზრდას გულისხმობს. დღევანდელი სკოლის ახალი რეფორმაც ძირითადად ბავშვის შრომითი აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესს ემსახურება. სკოლის ასაკამდე ბავშვის აღზრდა მთლიანად მშობლებზეა დამოკიდებული. ძირითადად ამ საქმეს სათავეში დედა უდგას, ამიტომ ბავშვის სწორად აღზრდის ელემენტებს დედა უნდა ფლობდეს. სწორედ დედამ უნდა ჩაუნერგოს შვილს შრომის დიდი სიყვარული, სულიერი სისპეტაკე, კაცთმოყვარეობა. ახალი ადამიანის ფორმირების საკითხზე დიდად იქნა ყურადღება გამახვილებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე. ამის ნათელი დადასტურებაა მრავალშვილიან და ახალგაზრდა ოჯახებზე დამატებითი მატერიალური დახმარება.

ერი ყოველთვის ამაყობს კარგი აღმზრდელი დედებით. ქართველებისათვის „დედა" მარტო მშობელი არ არის" — ამბობდა დიდი ილია. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა ენას" ეძახის, უფროს ქალაქს — „დედაქალაქს," მკვიდრ ბოძს — „დედაბოძს", მიწას — ხალხის მარჩენალს — „დედამიწას", მთავარ ბურჯს — „დედა ბურჯს", მთავარ აზრს — „დედა აზრს" და ა. შ...

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, არიან ისეთი დედები, რომელნიც თავისი პირმშოსათვის საკუთარი რძის მიცემასაც კი იშურებენ. შეიმჩნევა თამბაქოს მწეველი ქალები, რის გამოც ხშირია პათოლოგიური ფეხმძიმობა და მშობიარობა.

საბჭოთა მედიცინა ბევრს წერს თამბაქოს წევის მავნებლობის შესახებ, მაგრამ ბევრი ახალგაზრდა ქალი (ზოგ შემთხვევაში ხანში შესულიც) აგრძელებს თამბაქოს წევას. ამ მხრივ ბევრს „სცოდავენ" კინოს მუშაკებიც, რომლებიც ეკრანზე ხშირად უჩვენებენ ქალს სიგარეტით ხელში. რისთვისაა ეს საჭირო?! — ფილმის გალამაზებისათვის?

შვილის სწორად აღზრდაში დედას მხარში უნდა ამოუდგეს მამა, ოჯახი, სკოლა, მაგრამ ძირითადი, მაინც ოჯახია, დედა — მამა; მაგრამ ვაი ისეთ დედას, ან მამას, რომლებიც თავიანთი უსაქციელობით, პირადი სიამოვნებისათვის სწამლავენ ბავშვის ნორჩ გულს, ანგრევენ ოჯახს, უბნევენ გზას. შემდეგ ვითომ ქმნიან „აკოწიწებულ" ახალ ბუდეს.

თ. ნ.-ს ოჯახიდან მამა წავიდა. დედამ იწყო უსაქციელობა, გოგონა თითქმის უპატრონოდ გაიზარდა. ისიც საბოლოოდ არასწორ გზას დაადგა. გ. ვ.-ს მამა ყოველდღე თვრებოდა, დედას სცემდა და როცა ბავშვი პირველად სკოლაში მოვიდა, მას წარმოდგენა არ ჰქონდა უბრალოდ სკოლის ცხოვრებაზე, თუმცა მას სკოლაში თბილი კერა დახვდა. გამოცდილი მასწავლებლის ხელში ასეთი ბავშვები სწრაფად იღებენ მოსწავლის იერს. მომავალი თაობის აღზრდა ახლა მხოლოდ სოციალური მხარე როდია. საბჭოთა პედაგოგი ა. მაკარენკო წერდა: „ჩვენი ბავშვები მომავალი დედები და მამები არიან. ისინი შემდგომში თავიანთი შვილების აღმზრდელები იქნებიან. ჩვენი ბავშვები უნდა აღიზარდონ შესანიშნავ მოქალაქეებად, კარგ დედებად და მამებად, მაგრამ ესეც ყველაფერი როდია: ჩვენი ბავშვები — ეს ჩვენი სიბერეა, სწორი აღზრდა — ეს ჩვენი ბედნიერი სიბერეა, ცუდი აღზრდა — ეს ჩვენი უბედურებაა, ჩვენი ცრემლებია, ეს ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანთა წინაშე". მხოლოდ ამ შეგონებიდან უნდა გამოდიოდეს ყოველი დედა, მამა და სკოლა.

ცხოვრების ასპარეზზე გასულ ახალგაზრდას უმალ ეტყობა ოჯახიდან გამოყოლილი დადებითი ან უარყოფითი გავლენა. ცუდი აღმზრდელი მშობლები ხშირად იმიზეზებენ, ოჯახში ყველა ვმუშაობთო. ყოველმა მშობელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეს, რომ ის მშობელია და პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე. დიდი ილია ამ მოვალეობას ასე განსაზღვრავდა: „ტანთ მოიკელი, ფეხთ მოიკელი, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩადგები ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში — აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზე, იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან". ბევრი ამ ბრძნულ თქმას ივიწყებს და შვილების აღზრდას მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნევს. გამომდინარე აქედან მშობელთა პედაგოგიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღზრდის საქმეში უნდა ჩავაბათ გამოცდილი და ავტორიტეტული მასწავლებლები. ისინი უნდა იცნობდნენ ბავშვის ოჯახს, მშობლებთან იყვნენ თავდაჭერილი, ესაუბრონ, დაარიგონ. ბავშვი მშობელმა თავიდანვე უნდა შეაჩვიონ პატიოსან შრომას, მაგალითსაც, უპირველესად, თვითონ უნდა აძლევდნენ. პირადი მაგალითი აღზრდის დიდი საშუალებაა.

ჩვენს ბედნიერ ხანაში უნდა იმრავლონ მრავალშვილიანმა ოჯახებმა. ვერცერთი დედა თუ მამა ვერ იმართლებს თავს მცირეშვილიანობის გამო. შვილთა სიმრავლე ოჯახის ჯანმრთელობაა, ბედნიერებაა, სილამაზეა.

ყველამ იცოდეს, ერს გამრავლება სჭირდება!

ვადიდოთ ქალი — დედა, ვისმა სიყვარულმაც არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება.

სერგო ნუცუბიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.



# შემოქმედებითი საღამო

ამას წინათ, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ნადია შალუტაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

საღამო უჩვეულოდ დაიწყო, სცენაზე ჩამოშვებული წარწერები თეატრალური ინსტიტუტის სხვადასხვა აუდიტორიებს მიანიშნებდა. მაყურებლით სავსე დარბაზში გამოჩნდა იუბილარი, რომლის თანმხლებთა შორის ბევრი იყვნენ ყოფილი სტუდენტები.

ქალბატონმა ნადიამ ნელი ნაბიჯებით, გზადაგზა იუმორით თვითონ დაიწყო თავისი ბიოგრაფიის თხრობა. მაყურებლის თვალწინ კინოლენტასავით ჩაიარა მისმა განვლილმა წლებმა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დიდმა გზამ. იგი სცენაზე ავიდა და „თავისი" ადგილი დაიკავა. გათამაშდა გამოცდა რუსული თეატრისა და სსრკ ხალხთა თეატრების ისტორიაში (ამ საგნების კურსი თეატრალურ ინსტიტუტში ნ. შალუტაშვილს მიჰყავდა.) ქ-ნ ნადიას „გამოცდები ჩააბარეს" მისმა ყოფილმა სტუდენტებმა: კოტე მახარაძემ, ნანა ლეინეფაძემ, ვასილ კიკნაძემ, ელენე ასლამაზიშვილმა, ლია ჩივაძემ, გურამ გეგეჭკორმა, გურამ საღარაძემ, თათია ხაინდრავამ, რამაზ იოსელიანმა, ბადრი კობახიძემ. მათ „პასუხებში" ნათლად ჩანდა დიდი პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება ყოფილი პედაგოგისადმი, ამჟამად კი უფროსი კოლეგისადმი; მათ მადლობა გადაუხადეს იმ მომთხოვნელობის, პრინციპულობისა და ამავე დროს გულთბილი დამოკიდებულებისათვის, რომელსაც ქალბატონი ნადია იჩენდა და ახლაც იჩენს თავისი სტუდენტების მიმართ.

საღამოს დიდი სიხალისე შემატა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის მოადგილის გ. ანთელავას, იუბილარის ყოფილი პედაგოგის, პროფესორ ს. ხუციშვილის, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორის მ. ბარათაშვილის, კულტურის მინისტრის მოადგილის გ. ჟორჟოლიანის, თეატრალური ინსტიტუტის რექტორის პროფესორ ე. გუგუშვილის და თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევითი სექტორის გამგის პროფესორ დ. ჯანელიძის მისალმებებმა.

იუბილარის დიდი ღვაწლი და დამსახურება უკრაინის თეატრალური კულტურისადმი ერთხელ კიდევ დაადასტურეს უკრაინის თეატრალური საზოგადოებრიობის მოღვაწეებმა და მეცნიერებმა, რომლებმაც გულთბილი დეპეშები გამოაგზავნეს.

იუბილარმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ამ საღამოს მოწყობაში, გულითადი სითბო მიუძღვნა სსრკ სახალხო არტისტის დოდო ალექსიძის ხსოვნას. ამ საღამოს მოწყობის ინიციატორი ბატონი დოდო გახლდათ.

ეს დაუვიწყარი საღამო ნადია შალუტაშვილის ცხოვრების ერთერთ მნიშვნელოვან თარიღად დარჩება.

## მეგობრობის მერიდიანებზე

# მამაცი ნაზირ გოლი

თვითმფრინავი ნელა მოსწყდა საფრენ ზოლს და პირი პრაღისკენ აიღო. ავიალაინერში, რომელიც, ჩვეულებრივ, ქაბულიდან ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში დაფრინავს და ახლაც იქიდან მოფრინავდა, სხვა მგზავრთა შორის ერთი დაბალი, მორიდებული ქალიც იჯდა, რომელსაც ყველაფერი უცხოდ ეჩვენებოდა — კომფორტაბელური თვითმფრინავის სალონიც და საზღვარგარეთ თავისი პირველი გამგზავრებაც.

ნაზირ გოლი მდუმარედ იცქირებოდა ილუმინატორში და თოვლიანი მთების მწვერვალებს უცქერდა. აი მესრაბადი — ჩემი სამშობლო, — თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა.

1978 წლის აპრილის რევოლუციამდე ნაზირ გოლი მოჯამაგირე იყო. დაუღალავად შრომობდა თავისი ფეოდალის — მომინ ბეის მიწაზე, არც დაღლას გრძნობდა და არც დროს ზოგავდა გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად. უჭირდა, მაგრამ ოჯახს, ბავშვებს ხომ საჭმელი უნდოდათ და ნაზირ გოლიც, სხვა ქალებთან ერთად, ოფლს ღვრიდა და კატორღული შრომით ძლივს შოულობდა ორიოდე გროშს, რათა მისი ბავშვები ლამე მშიერნი არ დაწოლილიყვნენ.

ნაზირ გოლს სხვა ბევრი რამეც გაახსენდა. იმ დღით მთელი სოფელი შიშმა შეიპყრო — ყოფილი ფეოდალი მომინ ბეი დაემუქრა, ხვალ ჩემი ბანდით მესრაბადს დავარბევო. ხალხმა იცოდა, რა შავი დღე მოელოდათ. იმ წელიწადს მზე ჯერ დაუმწიფებელ, ღეროგაუმაგრებელ ყანას აფრქვევდა თავის ელვარე სხივებს. გლეხებმა, რომელთაც წყალი არ ჰყოფნიდათ თავიანთი ნათესების მოსარწყავად, მცირე მოსავალი მოიწიეს.

ნაზირ გოლმა პირველმა მოჰკიდა ხელი იარაღს: „ჩემს ნაოფლარს არავის დავანებებ! არავის მივცემ ნებას დაგვარბიოს, ბავშვები აგვიწიოკოს!".

მას სხვებმაც მიჰბაძეს და ცხრამეტმა სოფლელმა ქალმა ხელში შაშხანა მოიმარჯვა. დილით მომინ ბეის და მის ბანდებს კუდით ქვა ასროლინეს. გლეხებმა მათ თავიანთი ძალა აგრძნობინეს, მესრაბადში სიმშვიდე გამეფდა.

დღეს ნაზირ გოლი რევოლუციის დამცველთა რაზმეულის მეთაურია. მისი მეგობარი ქალებიც მის მხარდამხარ იცავენ რევოლუციის მონაპოვარს.

დღეს აქ, მესრაბადში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი მუშაობს. სოფელში სამოც ქალზე მეტი შევიდა ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ისინი წერა-კითხვის სალიკვიდაციო კურსებზე სწავლობენ. ამ კურსების ჩამოყალიბებაში აქტიური როლი შეასრულა ნაზირ გოლმა.

და აი პატარა, მამაცი ავღანელი ქალი, რომელიც ბანდიტებს არ შეუშინდა და იარაღი აღმართა თავისი ყოფილი მჩაგვრელის წინააღმდეგ, ილუმინატორიდან დასცქერის მაღალი მთის მწვერვალებს, — ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში — პრაღაში მიფრინავს. ამ მოგზაურობით ის რევოლუციის დაცვაში გაღებული წვლილისათვის, გმირობისა და სიმამაცისთვის დააჯილდოვეს.

ანდრია გრეჩნოვი,
საქდესის კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა გერი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

# აკვანი და მისი უარყოფითი გავლენა ბავშვის ჯანმრთელობაზე



საქართველოს უმრავლეს რაიონში აკვანი დიდად არის გავრცელებული. უფრო სწორად, სოფლად ბავშვების უმრავლესობა იზრდება აკვანში, მაშინ, როდესაც ქალაქიდან იგი თითქმის გაძევებულია.

ქართულ აკვანს დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ ამჟამად მას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. აკვანმა თანდათან უნდა დაუთმოს და დაუთმო კიდევაც ადგილი თავისუფალ და გაშლილ საწოლს, რომელიც სამედიცინო თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია და ფართოდ იხმარება ჯანმრთელი, ფიზიკურად ლამაზი და ფსიქოლოგიურად სრულყოფილი ბავშვის გამოსაზრდელად.

ძველ დროში აკვნის ხმარება ნაწილობრივ განპირობებული იყო ქართველი ერის მძიმე მდგომარეობით. მტრის ხშირი თავდასხმისას, განუწყვეტელი ომებისა და უდაბურ, მიუვალ მთებში და ტყეებში ხალხის იძულებითი გახიზვნის გამო, ჩვილი ბავშვის ალსაზრდელად ხელსაყრელი იყო ისეთი საწოლი, როგორიც არის აკვანი. აკვანი ადვილად გადასატანი იყო ცხენით და ცხენზე ხურჯინივით გადაკიდებული ერთდროულად ორი ბავშვის გადაყვანის საშუალებას იძლეოდა, ადვილი დასაკიდი იყო ხეზე, თოკის საშუალებით აიწეოდა ტოტებში, სადაც ბავშვს ვერც მხეცი და ვერც მტერი ვერ იპოვნიდა, ადვილი წასაღები იყო ყანაში, ჩრდილში მოთავსებული იცავდა ბავშვს სიცხისაგან, ბავშვი დაცული იყო გადმოვარდნისაგან (ჩაკრული). ჩასველებისაგან (შიბაქის გამო) და ხელს არ უშლიდა დედას მუშაობაში. გარდა ამისა, აკვანი არ მოითხოვს ბევრ თეთრეულს და მათ ხშირ რეცხვას, რაც ხელსაყრელია მუშაობით დატვირთული ოჯახისათვის და დედისათვის.

ამგვარად, ძველ დროში აკვანი ქალისათვის მეტად მოხერხებული იყო. ახლა, როდესაც ყველა კოლმეურნეობას აქვს ბაგა-ბაღი, სადაც ბავშვები მუდმივი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან და ეჩვევიან კოლექტივში ყოფნას, აკვანმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. წინა პლანზე წამოიწია აკვნის უარყოფითი თვისებები.

დააკვირდით: ბავშვი წევს მაგარ საწოლზე (ფიცარზე დაგებულ თივის, ნახერხის, ბამბის და სხვა თხელ ლეიბზე); გულმკერდსა და ფეხებზე გადაჭერილი აქვს ართახები; ფეხებშუა ჩადგმულია ხის შიბაქი; თითქმის მუდამ მწოლიარე იკვებება; შეზღუდული აქვს ყოველგვარი მოძრაობა და მეტ დროს ანდომებს ძილს, აკვნის სიდაბლის გამო (35-36 სმ იატაკიდან) ბავშვი მუდამ ცივ და მტვრით სავსე ჰაერით სუნთქავს, ართახების გადაჭერის მიზეზით სუნთქავს ზერელედ და გაძნელებულად (შეზღუდულია ფილტვების გაშლა), რაც ხელს უწყობს ფილტვების სხვადასხვა სახის ხშირ დაავადებას. მუდამ ფეხებგაჭიმულია. ვერ ხრის, ვერ შლის; ფეხების მჭიდროდ მიკვრის გამო ტანი ხურდება და ბავშვი სულ ოფლიანია. ხანგრძლივი რწევა ბავშვებს თავს უბრტყელებს და ფიქალა გვერდებიდან შეჭყლეტილია, დეფორმირებულია გულმკერდიც. ბავშვის გულმკერდის გარშემოწერილობა და წინა-უკანა ზომები ნაკლებია იმავე ასაკის თავისუფლად მწოლარე ბავშვის ზომებთან შედარებით.

პროფ. მ. ცხაკაიას და პროფ. ე. ქურდიანის მონაცემებით, ქართველებში მენჯ-ბარძაყის ამოვარდნილობათა სიხშირე, სხვა ხალხებთან (იგულისხმება უაკვნოდ აღზრდილებთან) შედარებით, აკვნის ხმარების ბრალია. თანდაყოლილი მიდრეკილება ამოვარდნილობისადმი თავისუფალი (უაკვნოდ) აღზრდის დროს თვითონვე ქრება, აკვნის პირობებში კი ფეხების ძალდატანებითი შეკვრა ხელს უწყობს ბარძაყის თავის გარეთ გაწევას და განუვითარებელი ბარძაყის ფოსოდან დაცილებას, ხოლო ფეხებშუა ჩადგმული შიბაქი კიდევ უფრო აძლიერებს ბარძაყას თავის ამოვარდნილობას.

ვინაიდან ბავშვი აკვანში იზრდება ერთ წლამდე, ზოგან — იმერეთსა და სამეგრელოში წლინახევრამდე, ხოლო გურიაში თითქმის ორ წლამდეც კი — ბავშვებს გვიან უვითარდებათ მოტორიკა (მოძრაობა), გვიან იწყებენ სიარულს, ხშირად მარტოდ მიტოვებულნი ფიზიკურადაც გვიან ვითარდებიან და მეტყველებაშიც ჩამორჩებიან. გარდა ამისა, რადგან ბავშვი გვიან ეჩვევა ბუნებრივ საჭიროებაზე მოთხოვნას, აკვანში უნებლიეთ გადის და ამიტომ, რაც უფრო ხანგრძლივად იზრდება აკვანში, მით უფრო გვიან უვითარდება პირობითი რეფლექსი მოთხოვნაზე.

ბავშვს ნაადრევად უვითარდება რაქიტი (აკვანი წამოხურულია, რის გამოც ბავშვი მზეს და სინათლეს ვერ ხედავს). ხოლო რაქიტი... გარბილებული ძვლები და მოდუნებული სახსრები ადვილად ექვემდებარება ფორმის შეცვლას; არტახების გადაჭერა იწვევს მენჯის ძლიერ გაბრტყელებას, რაც ·ომავალში გოგონებს ურთულებს მშობიარობას. ამასთანავე ხელს უწყობს ბარძაყის თავების ორმხრივ ამოვარდნილობას (იხვის მაგვარი სიარული) და საერთოდ ტანის გაბრტყელებას, რომელიც სრულებით არ ალამაზებს ქალის ტანს.

ბევრი ქართველი ძლიერ იცავს აკვანს, ალნიშნავს, რომ აკვანში გაზრდის გამო ქართველების ალნაგობა არავის დაუწუნებიათ, თუმცა სხვა ერის: რუსების, გერმანელების, შვედების, ინგლისელების, ამერიკელების და სხვათა ალნაგობაც არავის დაუწუნებია!

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ორ წლამდე ასაკის აკვანში ალზრდილი ათასი ბავშვი.

მასალის შესწავლამ დაგვანახა, რომ აკვანი ხელს უწყობს თავის და განსაკუთრებით გულმკერდის წინა-უკანა ზომების შემცირებას (გაბრტყელებას) და იწვევს მათი ფორმის გაუარესებას მით უფრო, თუ რაქიტით არის დაავადებული ბავშვი, რაც შეეხება ფსიქო-მოტორულ განვითარებას: თავისუფლად ალზრდილ ბავშვებთან შედარებით აკვანში ალზრდილი ბავშვები ჩამორჩებიან გადაბრუნებაში 9 პროცენტით, ცოცვაში — 31 პროცენტით, სიარულში — 15 პროცენტით და მეტყველებაში — 22 პროცენტით. გარდა ამისა, რაქიტის მძიმე ფორმები აკვანში გაზრდილ ბავშვებში მეტად შეინიშნება (15 პროცენტი).

ამგვარად, მუხედავად იმისა, რომ აკვანი დედისათვის მეტად მოსახერხებელი საწოლია, ბავშვის ალზრდისათვის სამედიცინო თვალსაზრისით (რასაც თავის დროზე ალნიშნავდნენ საქართველოს ცნობილი პედიატრები პროფ. უგრელიძე, დოც. სეროვცევი, ექიმი როხლინი და სხვანი. ორთოპედები, პროფესორები: მ. ცხაკაია და მ. ქურდიანი) იგი უნდა ჩაითვალოს უარყოფითად. ახოვანი, ლამაზი და ჯანმრთელი ბავშვის ალსაზრდელად უნდა გამოვიყენოთ გაშლილი, თავისუფალი საწოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი თარგმანები

ჟუჟა რაგი

# შნგრუღი პოეზია

### ჯერ კი...

ჯერ კი... რამდენი
მიმავალი მატარებელია,
რამდენი ფრთამოტეხილი ჩიტია.
რამდენი ფრთაშეტრუსული ბარათია,
ვინ იცის,
მერამდენედ ამოგორდა ცაზე
ასფუთიანი მზე,
რამდენჯერ იპოვა მავანმა მავანი,
რომ მერე ერთ სხეულად იქცნენ,
რამდენი! გაცრუებული ოცნება ფოფინებს
რამდენი! კედელს მიხეთქებული სიცილის ხმა ისმის.
სასწრაფო დახმარების რამდენი აწივლებული
მანქანა, დაქრის,
რამდენი გათელილი ლეიბი და
დაძენძილი საბნებია ქვეყნიერებაზე.
რამდენი დასაფლავება,
რამდენი გულის აჩქროლება,
რამდენი „არა“, „რატომ“ და „მაინც“
რამდენი „როგორ“, „რისთვის“ და „ეგებ“.
რამდენი გულცივად დამარხული სიტყვაა,
რამდენი ყელში გაჩხერილი სიტყვაა.
რამდენი ძილმღვიძარი სიტყვაა
რამდენი იეროგლიფებია შუბლზე გაჩენილი,
რამდენი შემთხვევით შეკეთებული სარკე,
რამდენი წაგებული ბრძოლა.
რამდენი ორშაბათი,
რამდენი შვიდის ნახევარი,
რამდენი კაბის სახელური,
რამდენი ზარის დაწკარუნება
გულს რომ აგითრთოლებს,
რამდენი შინიდან გასვლა და უკან
დაბრუნება.
ჯერ კი, ჯერ კი, ჯერ კი,
ჯერ, ჯერ, ჯერ,
ჯერ...

### ჯვარი

მე შენ მიყვარდი,
მაგრამ მაინც დამტოვე მარტო,
უბის წიგნაკში
ჩარჩა შენი სახელი წმინდა,
ვიწრო დილეგში ჩაგამწყვდიეს
სამარადჟამოდ.
აქედან ალარ გაგიშვებ არსად.
უჩვეულოა ეგ შენი ჯვარი,
არ ვიცი მე ვარ
გაკრული ჯვარზე
თუ ჩემი მხრებით
დამაქვს ჩემი მარადი ჯვარი.

### ჩემს მიტოვებულ მშობლიურ ქალაქში

ჩემ ნაცვლად
მშობლიურ ქალაქში
ვილაც დარჩა.
რომელიც უშეცდომოდ უკრავს
ფორტეპიანოზე.
ნასაუზმევს, ნელი ნაბიჯით
სასაფლაოს გზას აუყვება.
ბავშვს ელოლიავება,
კარადას ალაგებს.
ვილაც ჩემს ნაცვლად დარჩა ჩემს ქალაქში.
და ჩემეულა ბედის ჩარხს ატრიალებს

მე მას ვუფეშქაშე
ეს გორაკებიანი კუნძული.
ძმრის ხე, საწოლი — მიჯნურთა უერთგულესი
მეგობარი.

ეს გორაკებიანი კუნძული.
დავთმე ძეობები და პანაშვიდები.
გულმხიარული დღეობები.
ბლომ-ბლომა ნათესავები.
მოუხეშავი შთამომავლობა.
დავტოვე სიჭაბუკე.
სადილად მოპატიჟებული სტუმრების
ალალი ღიმილი.
დავტოვე ჩემი ორეულის ოხვრა
ვილაც ჩემს ნაცვლად დარჩა ქალაქში.
მისი კარის ზღურბლზე
ჩუმად დავასვენე ჩემი ბედი.
ეს რომ მან იცოდეს
ვინ იცის, რას იფიქრებს ჩემზე,
და ვერ გამიბედია
მის ფანჯარაში შევიჭვრიტო!

თარგმნა მედეა კახიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამარ ღლონტი

ქალბატონ თამარ ღლონტს არასოდეს დაჰკლებია სიყვარული, პატივისცემა და აღიარება, მაგრამ დღეს, როდესაც იგი ჩვენთან აღარ არის, უფრო მკვეთრად წარმოჩნდა ის საუკეთესო თვისებები, რჩეულთა რიგებში რომ აყენებდა იმ დიდ ღვაწლთან ერთად, რომელიც მან სრულად მიაგო თავის საყვარელ საქმეს.

გამოკვეთილი პიროვნული თვისებებით შემკული, საინტერესო, მრავალმხრივი, ნიჭიერი, განათლებული, ნატიფი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მომხიბლავი გარეგნობის, სახელოვანი და პოპულარული ადამიანი — ასეთი იყო ქალბატონი თამარი. ამიტომ ექცეოდა მის ტყვეობაში თითქმის ყველა, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონდა. ხოლო ყოველივე ზემოთქმულს თუ დავუმატებთ მისი ინტერესების ფართო დიაპაზონს და ასეთსავე ფართო და მრავალმხრივ ურთიერთობებს, გასაგები გახდება მის „ტყვეთა“ სიმრავლის მიზეზი.

ქალბატონი თამარი უმალ იპყრობდა ყურადღებას, როგორც უკვე ვთქვით, თავისი გამორჩეული ინტელექტისა და ნათელი აზრის წყალობით. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც 30-იანი წლების მიწურულს მოსკოვში უდიდესი ნევროლოგის — კროლის მხედველობის არეში მოხვდა. აქ მან ბრწყინვალე საკანდიდატო დისერტაცია შეასრულა და რამდენიმე წლის შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩაუდგა ქალბატონი თამარი სათავეში ერთ-ერთი ევაკოჰოსპიტლის სამკურნალო საქმეს და ჩვეული თავგანწირვით მაქსიმალურად გაიღო თავისი წვლილი.

ომის დასასრულს მუშაობა დაიწყო ასისტენტად ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ნერვულ სნეულებათა კათედრაზე პროფესორ პეტრე სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით. ეს იყო ქალბატონი თამარის შემოქმედებითი აღზევების პერიოდი. იწყება მისი მოღვაწეობა ნევროლოგიური კადრების აღზრდისა და დახელოვნების საქმეში. მოგვიანებით, ნევროლოგიის ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებით, უკვე ამ კათედრის ხელმძღვანელად გვევლინება.

მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობა— ქალბატონი თამარი გახლდათ ექიმი, პედაგოგი, მეცნიერი.

რამდენი ადამიანი განკურნა და დაუბრუნა სრულფასოვან ცხოვრებას, რამდენ დედას აჩუქა შვილი და ყოველივე უანგაროდ, უდიდესი თავდადებისა და თავგანწირვის ხარჯზე.

ბრწყინვალე პედაგოგი უაღრესად მომთხოვნი იყო, უპირველესად, საკუთარი თავის მიმართ. მან დიდი ღვაწლი დასდო ნევროლოგიური კადრების აღზრდას და ის, რომ საქართველოს ნევროლოგიური სკოლა განთქმულია მთელ ჩვენს ქვეყანაში, ქალბატონ თამარ ღლონტის დიდი დამსახურებაცაა.

აღფრთოვანება იცოდა როგორც პიროვნებებით, ისე იდეებით, ამიტომ ძალზე საინტერესო იყო მასთან მუშაობა.

ნიადაგ ახლისმაძიებელი, დიდი მეცნიერული ალღოთი იყო დაჯილდოებული. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ 50-იან წლებში შეასრულა იმ დროისათვის კი არა, სადღეისოდაც მეტად აქტუალური შრომა, რომელიც ძილისა და ეპილეფსიის ურთიერთობის საკითხებს ეხებოდა კლინიკურ-ელექტროენცეფალოგრაფიულ კორელაციათა ჭრილში. ეს გახლდათ მისი სადოქტორო დისერტაცია.

მისი მეცნიერული ინტერესების დიდი დიაპაზონი ყოველთვის შეესაბამებოდა თანამედროვეობის დონეს.

ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, უაღრესად უანგარო ადამიანი იყო. ეს უანგარობა მან ცხოვრების უმძიმეს წლებშიც შეინარჩუნა და ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ომისშემდგომ მძიმე პერიოდში, როდესაც ქალბატონი თამარის პატარა გოგონა დარწმუნებული იყო, რომ ტკბილეულს მხოლოდ ბავშვები ჭამენ, იგი ბატონ პეტრე სარაჯიშვილთან ერთად საკუთარ თანხებს არ იშურებდა, რათა შექმნილიყო საქართველოში პირველი ელექტროფიზიოლოგიური ლაბორატორია ნერვულ სნეულებათა კლინიკაში.

მოგეხსენებათ, ნევროლოგიის ინსტიტუტი, რომელმაც ესოდენ დიდი აღიარება მოიპოვა, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა, მას უკვე იმხანად ეყრებოდა საფუძველი. ამ დიდი წინასწარი სამუშაოს ჩატარება ბატონმა პეტრე სარაჯიშვილმა თავის უახლოეს თანამშრომლებთან ერთად იტვირთა. ერთ-ერთი და უმთავრესი ქალბატონი თამარი ბრძანდებოდა.

მისთვის არ არსებობდა სამუშაო საათები, დასვენების დღეები. იგი მუდამ იღვწოდა, იწვოდა, ქმნიდა. მაგრამ მისი ყველაზე სრულქმნილი ქმნილება მისი ქალიშვილი — მადკა იყო, შესანიშნავი გოგონა, მომავალი მედიკოსი, რომელსაც არ დასცალდა დედასავით სახელოვანი დამდგარიყო. ქალბატონ თამარს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ იგი ისეთი ძლიერი ბუნების ქალი იყო, რაკი ცოცხალი დარჩა, თავისი უბედურება არავისთვის მოუხვევია. მოიკრიბა ძალა და საზოგადოებას სათანადო მიუზღო — დარჩა მის სასარგებლო, სრულფასოვან და სასურველ წევრად. ეს მნიშვნელოვანწილად მისი მეგობრების დამსახურებაცაა, რომლებმაც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მას მარტოობა არ აგრძნობინეს და რამდენადაც ეს შესაძლო იყო, გაახალისეს, გაალამაზეს მისი ცხოვრება.

ბუნებით უპრეტენზიო, უფრო მეტს გასცემდა, ვიდრე მოითხოვდა. ალბათ ამიტომ წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი თარიღი არ აღნიშნულა მის ცხოვრებაში საქვეყნოდ. განა არ ჰქონდა ეს თარიღები?! განა არ იყო აღნიშვნის ღირსი?! უაღრესად ბევრს მოითხოვდა საკუთარი თავისგან, და არად მიიჩნევდა იმას რასაც სხვები აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

ქალბატონი თამარი გახლდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, უმაღლესი საბჭოს მე-6 მოწვევის დეპუტატი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების, მრავალი მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელი.

სამშობლოსათვის უმთავრესი ნაღვაწი მაინც მის მიერ აღზრდილი უამრავი სპეციალისტია, ეს სწორედ ის ძეგლია, მან სიცოცხლეში რომ დაიდგა და რითაც საქართველოს სახელოვან, ღვაწლმოსილ ქალთა შორის სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა

თინა გელაძე,
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართველი ქალი საჰარაში

ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამუშაოდ ჩამოვიდა ქართველი სპეციალისტი ქალი ინესა გიორგის ასული დანელია, რომელიც საქართველოს გეოლოგიის სამმართველომ მოავლინა. საკვირველი აქ არაფერია, რადგან ბევრი ქართველი სპეციალისტი ქალი ყოფილა და ახლაც არის ალჟირში, მაგალითად, ეთერ ქერსამია, ციალა კასრაძე და სხვანი.

საქმე ის არის, რომ ინესა დანელია პირველი ქართველი ქალია, რომელიც მსოფლიოს უდიდეს უდაბნოში, საჰარაში გაამწესეს სამუშაოდ. ის სპეციალობით ინჟინერპეტროგრაფია და ქანების მინერალოგიაშიც წარმატებით მუშაობს.

საჰარაში ქალბატონ ინესას გამოჩენამ დიდი სიხარული მოჰგვარა საბჭოთა სპეციალისტებს — გეოლოგებს. განსაკუთრებით ქართველი ამხანაგები აღაფრთოვანა მან თავისი სიყოჩაღით. ამჟამად საჰარაში ინესა დანელიას გარდა ხუთი ქართველი სპეციალისტი ვმუშაობთ. კარლო აქიმიძე, ტიტიკო გახარია, ვლადიმერ ლეფსვერიძე (საქართველოს გეოლოგიის სამმართველოდან), მურმან კვინიკაძე (კავკასიის მინერალური რესურსების ინსტიტუტიდან) და თემურ ბერუჩაშვილი (მოლდავეთის გეოლოგიის სამმართველოდან). ყველანი ძმებივით ვუდგევართ ქალბატონ ინესას გვერდით. გვიხარია, რომ ჩვენს ქართულ ექვსეულს საჰარაში თავისი კარგი საქმიანობით აგვირგვინებს და ამშვენებს ქართველი მანდილოსანი — ინესა დანელია.

ჩვენი კოლეგები ხშირად ხუმრობენ: „თურმე ქალბატონ ინესას ხუთი ძმა ჰყოლია და ხუთივე თან ჩამოჰყოლია საჰარაშიო". „ჰაი, ჰაი, რომ ასეა" — ვამბობთ ჩვენ.

ლაბორატორია, რომელშიც ქალბატონი ინესა მუშაობს, საჰარის გულში, ჰოგარის მთიანი სისტემის ცენტრშია — ქ. თამანრასეტში. ჩვენ კი 400-600 კილომეტრის მოშორებით, სხვადასხვა ობიექტებზე ვიმყოფებით, მაგრამ ყურადღებით ვართ ქალბატონ ინესასადმი. აი, რას სწერს ქალბატონ ინესას კარლო აქიმიძე, რომელიც ალჟირნიგერის საზღვართან მუშაობს:

„ჩემი მეუღლე მავალებს არაფერი გაგიჭირვოთ, თუ რაიმე გაგიჭირდათ და ვერ მოგეხმარეთ, ჩემი სირცხვილი იქნება. დიალაც ასეა, და თუ დაგჭირდით, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და თქვენთან გავჩნდები, ოღონდაც შემატყობინეთ".

ასეთია „კაი ყმის" სურვილი. ჩვენც ვეთანხმებით კარლოს, რომელიც ჩვენთვის სამაგალითოა აქ, საჰარაში.

მე, ამ სტრიქონების ავტორს, პოეტობის არავითარი პრეტენზია არა მაქვს. კაცს, რომელსაც 28 წელიწადი მხოლოდ გეოფიზიკაში მიმუშავია, ალბათ მეპატიება ეს პოეტური გულუბრყვილობა და გთხოვთ, თუ საშუალება გექნებათ, დამიბეჭდოთ იგი ქალბატონ ინესას პატივსაცემად:

## თეთრი ყვავილი უდაბნოში

ვუძღვნი სახელოვან თანამემამულესა და კოლეგას, ინესა გიორგის ასულ დანელიას, პირველ ქართველ ქალს, რომელიც მსოფლიოს უდიდეს უდაბნოში, საჰარაში მუშაობს.

ვნახეთ უდაბნო ყოვლად ძლიერი,
სადაც ვარდები ჯერ არ დარგულა,
უკიდეგანო მიწა მშიერი
უწყლოდ სიცხეში გადათანგულა.
ვნახეთ უდაბნო სიავით ავად,
სადაც ცხოვრება ბედმა გვარგუნა,
ჩვენ უყვავილო მიწაზე დავალთ,
მაგრამ ვუმღერით ყვავილს ქართულად.
შიგ საჰარაში ყვავილი თეთრი
ქართა ფერხულში უცხოდ ჩართულა,
ჰოგარის მთებში ის არის ერთი,
მხოლოდ ის გვაძლევს სალამს ქართულად.

ვლ. ლეფსვერიძე
ინჟინერი, გეოფიზიკოსი,
თამანრასეტი, ალჟირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღვაწლმოსილი

# საშური ენერგიითა და შემართებით

16 წლისაც არ იყო ნინო ბახტაძე წულუკიძის საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა და აჭარის ასსრ განათლების კომისარიატმა სოფელ აგარაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად გაამწესა. ამ პატარა ქალმა დიდი საქმე იკისრა, ენერგიულად შეუდგა მომავალი თაობის აღზრდას.

მაჰმადის რჯული გოგონებს სწავლას უკრძალავდა. ნინო დღენიადაგ ცდილობდა მშობლებთან მოლაპარაკებით, ცალკე მოზარდთან საუბრით სწავლაში ჩაება გოგონები და მრავალჭირნახული ქართველი ქალები განათლების გზაზე დაეყენებინა. ამ საქმეში მას გვერდში ედგა ამავე სკოლის დირექტორი აბდულ ჩაიძე, რომელიც აქტიურად იღვწოდა აჭარის კულტურული დაწინაურებისათვის.

ორივეს ერთი მიზანი ამოძრავებდათ, ერთი საქმისათვის იღვწოდნენ, მალე დაქორწინდნენ კიდეც, მაგრამ ქრისტიანისა და მაჰმადიანის შეუღლებით აღშფოთებული ორივე მხარის ნათესავები იმუქრებოდნენ. უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით ახალდაქორწინებულები სოფელ ჯანგისის თავკაცმა მუსტაფა აცამბამ თავის ოჯახში შეიფარა. 1927 წელს ოჯახში პირველი შვილი გაჩნდა, მას მეორეც მოჰყვა. ცხოვრება თავის გზით მიდიოდა, ძველსა და ახალს შორის ბრძოლაში პროგრესული იმარჯვებდა.

ნინო ოჯახშიც ჯარასავით ტრიალებდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ოჯახი, სკოლა, ქალთა შორის მუშაობა...

...1928 წლის დამდეგია, ნინო აჭარის ახალგაზრდა მასწავლებლების შეკრებაში მონაწილეობს, მონუსხულივით უსმენს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს, რომელიც დაწვრილებით ლაპარაკობს სამხრეთ საქართველოს კულტურულ წარსულზე, ოსმალთა ბატონობაზე, მის შედეგებზე და დამსწრეთ მოუწოდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ აჭარის კულტურულ დაწინაურებაში.

მის მოწოდებას პირველი ნინო მასწავლებელი გამოეხმაურა და ამავე შეკრებაზევე მაღალმთიან სოფელში წასვლის სურვილი განაცხადა. მის გამოსვლას დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა.

შეკრების მესამე დღეს ნინო ხულოს რაიონის, სოფელ ოლადაურში გაემგზავრა. უკან მოიტოვა ხულო, ფურტიო, სადაც გულთბილად უმასპინძლა პროგრესულად მოაზროვნე, კარგმა მოქართულემ, სანდომიანი გარეგნობის იუნუს ბერიძემ. ოლადაურში ნინო ნუსრედინ ბერიძის ოჯახში დაბინავდა და სწორედ ოჯახის უფროსის აქტიური ხელშეწყობითა და დახმარებით დაიწყო ქალთა შორის მუშაობა, შექმნა წერა-კითხვის შემსწავლელი წრე, რომელშიც ქარცივაძის, მაკარაძის, ბერიძის და სხვათა ქალები გაერთიანდნენ.

1929 წლის თებერვალში ბათუმში საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა შეიკრიბა. ოლადაურიდან ჩამოსული ქარცივაძისა და ფუტკარაძის ქალები შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ და სცენაზევე მოიხადეს ჩადრი. ნინოს საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა ყრილობის საპატიო სტუმარმა ფილიპე მახარაძემ.

1932 წლის ივლისში აქტიური პედაგოგიური მუშაობისათვის ნინოს დამკვრელი მასწავლებლის საპატიო წოდება მიანიჭეს და იმავე წელს თბილისში მასწავლებელთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე გაგზავნეს. კონფერენციის დროს მონაწილეებმა დაათვალიერეს თბილისის საწარმო-დაწესებულებები. ნინო განსაკუთრებით დაინტერესდა ტუბერკულიოზური დისპანსერის საქმიანობით, მოეწონა მედიცინის მუშაკთა გულისხმიერი დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი, პროფესორ აბაკელიას გულშიჩამწვდომი, ტკბილი საუბარი. მან მტკიცედ გადაწყვიტა მედიცინის მუშაკი გამხდარიყო და თავისი გადაწყვეტილება მეორე დღესვე ამხ. ფილიპე მახარაძეს გააცნო. თავმჯდომარემ მას უნივერსიტეტში შესვლა ურჩია, მაგრამ ნინომ არ დაიშალა და იმავე წელს სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩააბარა. მეორე წელს მეუღლეც ამავე ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ორივენი წარჩინებით სწავლობდნენ და ორ ვაჟსაც ზრდიდნენ.

1937 წელს ნინომ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და კვლავ აჭარას დაუბრუნდა. ჯერ აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა, 1940 წლიდან კი — საფერშლო სკოლის დირექტორად. მალე ომიც დაიწყო მეუღლე გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა.

სამი ათეული წელი გავიდა და ნინო სოფ. ოლადაურს კვლავ ეწვია, მაგრამ ამჯერად, როგორც ექიმი. სოფელმაც გაიხარა და სტუმარმაც: სოფელმა ნამაგარი ქალის ნახვით, სტუმარმა — ოლადაურის კულტურული წინსვლით. ნინო და ოლადაურელები გვიანამდე საუბრობდნენ. მოსაგონარი მართლაც რომ ბევრი ჰქონდათ...

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, შრომის ვეტერანი კომუნისტი ქალი ამჟამად მწვანე კონცხის სანატორიუმის ექიმია და დღესაც ახალგაზრდული შემართებით, საშური ენერგიითა და მონდომებით ემსახურება თავის საქმეს.

ნინო ბედნიერი დედაა — სამი ღირსეული მოქალაქე გაუზარდა მამულს: უფროსი ინჟინერია, საშუალო — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო უმცროსი — ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი.

ბუნებით დაუდეგარი, ცოცხალი და ენერგიული ქალის სახეს მწუხარების კვალიც დასტყობია. ეს რამდენიმე წელია გვერდით აღარ ჰყავს ძვირფასი ადამიანი, თავისი ცხოვრების ერთგული მეგობარი აბდულ ჩაიძე, რომლის თანადგომამ და დახმარებამ მცირე როლი როდი შეასრულა ნინოს პირად ცხოვრებასა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მერი გოცირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვებრძოლოთ ლოთობას, ალკოჰოლიზმს

# მერე გვიან იქნება...

„იგი სვამს თითქმის ყოველთვის, ან მოვა შინ, ან არა, თუ მოვიდა, გვიან ღამით და სულ უმიზეზოდ დებოშს ტეხავს — იგინება და ილანძღება უშვერი სიტყვებით. ბავშვი კი საცოდავად ტირის.

ზოგჯერ იმ ზომამდე მივდივარ, ვფიქრობ თვითმკვლელობით დავამთავრო სიცოცხლე, მაგრამ შვილი მეცოდება, რომელიც სულ უპატრონოდ დარჩება. იგი მეოთხე კლასშია, ხუთოსანი“...

ეს სტრიქონები საჩხერელი ნ. ე-ს წერილიდანაა ამოღებული. შეუძლებელია გულის სიღრმემდე არ შეგძრათ რედაქციაში გამოგზავნილ ამ და სხვა ბარათების ღაღადისმა, გატანჯულ, დანგრევის პირამდე მისული ოჯახების დედათა, ერთ დროს სიყვარულით შეერთებული მეუღლეების შემაძრწუნებელმა სიტყვებმა, რომლებიც თავიანთ უბედურებაში, უზარმაზარ ოჯახურ ტრაგედიაში ბრალს დებენ ალკოჰოლიზმს, ლოთობას.

„ალკოჰოლის მოხმარება ანადგურებს ადამიანის ჯანმრთელობას, დამღუპველ ზეგავლენას ახდენს მომავალ თაობებზე. დიდ მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს საზოგადოებას“. — ვკითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე.

„...იგი სვამდა ყოველდღე. დედას უფიქრია: იქნებ შვილი რომ მეყოლება, იმან მოიყვანოს ჭკუაზეო. ეყოლა ერთი, მეორე მესამე, მაგრამ ამაოდ. იქნებ ბიჭი რომ შემეძინოს, იმან უშველოსო, მაგრამ დედამ რვა თვის ფეხმძიმემ, მამაჩემის ცემით ღონემიხდილმა, ნაადრევად, რვა თვეზე იმშობიარა, მკვდარი ბიჭი დაბადა.

„თქვენ არ იცით, როგორი ლამაზი დედა მყავდა, რომელმაც მხოლოდ 36 წელი იცოცხლა. ახლა ვინღა იქნება ჩვენი პატრონი, ვინ დაგვიფარავს მამად წოდებულ ჯალათისაგან? ვაი თუ ერთ ღამეს ერთიანად გამოგვწვას სახლში!“ — ვკითხულობთ ლაგოდეხიდან ფ. რ-ს მიერ გამოგზავნილ წერილში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და მის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების — „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“, — მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი გადამლაშებული, უზომოდ გაჭიანურებული ყოველგვარი მიზეზით თუ უმიზეზოდ გამართული ღრეობები, რომლებმაც ჩვენს ქალაქში, განსაკუთრებით დაბებსა და სოფლებში ფართოდ გაიდგა ფესვები. არყის, კონიაკის და სხვა მაგარი სასმელების, ღვინის ფართოდ და საყოველთაოდ სისტემატურმა და დღეღამის ნებისმიერ დროს უზომოდ ხმარებამ შავ მახინჯი და სოციალურად ყოვლად მავნე და ბოროტი სენი — ლოთობა; ჩვენი ნაქები ქართული სტუმართმოყვარეობა და ზომიერი წესჩვეულება თავაშვებული ცხოვრების საშიშროებად იქცა.

ხშირად გვესმის შემზარავი ამბები: 300 კაციან სუფრაზე უზომოდ მთვრალმა სასიკვდილოდ დაჭრა ამხანაგი, მეზობელი, ნათესავი. ესა და ეს კაცი მთვრალი მიუჯდა საჭეს, ავტომანქანა დაამსხვრია — ოთხმა დედამ ძაძები ჩაიცვა. ამა და ამ სოფელში ტვინგახურებულმა, უზომოდ მთვრალმა კაცმა ცეცხლი წაუკიდა მეზობლის ან თავის სახლ კარს.

ვინ მოთვლის ავ შემთხვევებს, შემაძრწუნებელ ფაქტებს, რომელთა ერთადერთი გამომწვევი მიზეზი არის ლოთობა, ალკოჰოლის უზომოდ მიღება. ზოგიერთს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ბევრ რაიონულ ცენტრში რეგისტრირებულია ასობით ლოთი.

და კიდევ ერთი ადგილი რედაქციაში შემოსული წერილიდან:

„ერთ კვირაში 19 წელი შემისრულდება და მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ მახსოვს ჩემი მშობლების ტკბილი საუბარი. ჯერ კიდევ 13-14 წლისა ვიყავი, როდესაც პირველად დამებადა აზრი, რომ მამაჩემის უდიერი საქციელი (ლაპარაკია ლოთობაზე) რედაქციისათვის მიმეწერა, მაგრამ შემეშინდა არ წაეკითხა მას ჩემი წერილი. მხოლოდ მეშინოდა, რადგან ამ გრძნობის გარდა სხვა გრძნობა არასოდეს მქონია მამის მიმართ“.— გვწერს თბილისელი ლ. ღ-ი.

ბარათები, ცრემლიანი, გულიდან ამონაკვნესი ბარათები, თითოეული სტრიქონის მიღმა — ტრაგედია, თითოეული ავტორის გვერდით — დანგრეული ოჯახი, ჩამქრალი კერა, სულიერი და ფიზიკური ტრავმა.

ეს ბარათები, ასე მრავლად რომ შემოდის რედაქციაში, საბრალდებო აქტია მათთვის, ვინც ჩაჰყოლია ლოთობისა და ალკოჰოლის მღვრიე მორევს, ვინც ფეხქვეშ თელავს და აუკუღმართებს წმიდათაწმიდა, საუკუნეებს გამოვლილ ტრადიციებს, სახელს უტეხს ჩვენს შესანიშნავ ღვინოს, რომელიც ქართველმა კაცმა ოდესღაც, ათასწლეულების წინ დააყენა და რომლის შესახებაც დიდ ვახუშტის ბევრი ქება უთქვამს.

ირმა ჩოფიკაშვილი

# რჩევები

ძველი კარტოფილი ხარშვისას არ გამუქდება, თუ წყალში ცოტა ძმარს ან რძეს ჩაუმატებთ.

თუ დაჭრილ ხახვს შეწვამდე ფქვილში ამოავლებთ, ლამაზად, ოქროსფრად დაიბრაწება.

პური დიდხანს არ დაძველდება, თუ მის შესანახავად ჰურჭელში ვაშლს, გაფცქვნილ უმ კარტოფილს, ან ცოტა მარილს ჩადებთ.

არაყანს თუ ცოტა რძეს დაუმატებთ, სადილში აღარ აიჭრება.

ბაბთის საყელოები, რეცხვაში რომ არ დაზიანდეს, შემდეგნაირად უნდა გარეცხოთ: ლიტრიან ქილაში საპნიანი წყალი ჩაასხით, შიგვე მოათავსეთ გასარეცხი ბაფთა, თავი კარგად დაახურეთ და რამდენიმე წუთს ქილა კარგად ანჯღრიეთ, შემდეგ ცივ წყალში გაავლეთ და გაუწურავად გაფინეთ.

თუ სადუღარა ჩამუქდა და ნალექი მოედო, ძმრიან წყალში (1-2 სუფრის კოვზი ძმარი ერთ ლიტრ წყალზე) ჩადეთ და ადუღეთ.

შარვალს ნაკეცი რომ დიდხანს შერჩეს, უკანა მხრიდან მშრალი საპონი წაუსვით.

ღია ფერის ფეტრის შლაპა თეთრი პურის ქერქით უნდა გაწმინდოთ.

თუ ტყავის ხელთათმანები გიჭერთ, ჯერ 2-3 საათით სველ ტილოში გაახვიეთ, შემდეგ კი ხელზე ჩამოიცვით და ისე გააშრეთ.

პირში ხახვის სუნი გაგიქრებათ, თუ ერთ ჭიქა მაგარ ყავას დალევთ ან ყავის რამდენიმე მარცვალს დაღეჭავთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთვრალი კაცი

მთვრალი კაცი ელექტრონით განათებული ბოძის ირგვლივ დაბორიალობდა.

— დაგეკარგათ რამე? — ჰკითხა გამვლელმა.

— ქუდი დამეკარგა, — მიუგო მან.

— დაახლოებით მაინც არ იცით, რა ადგილას დაგივარდათ?

— აგერ, იქ! — გაიშვირა მთვრალმა ხელი მეორე მხარისაკენ.

— მერედა, აქ რატომ ეძებთ?

იქ ბნელა და როგორ უნდა ვიპოვნო, — ამოილუღლუღა მთვრალმა.

## ლოდინი

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ქვაფენილზე გართხმულ მთვრალს მგზავრმა.

— ამბობენ დედამიწა ბრუნავსო.

— მერე რა?

— ჰოდა, ვიცდი, სანამ ჩემი სახლი მოვა ჩემთან.

## ალკოჰოლის ტრფიალი

— ახლა უფრო მეტს ვსვამ, დიკ, რადგან დიდი მწუხარება მაქვს.

— ნება მიბოძე, ძვირფასო ბილ, მწუხარება შუაზე გაგიყო.



## საწამლავი

ერთი სოფლის მიკიტანი თავისი უხეირო ღვინით იყო ცნობილი. ერთხელ მეზობელ ექიმს შესჩივლა, წუხელ ქურდებმა სარდაფიდან ღვინო მომპარესო.

— ნუ წუხართ, გეთაყვა, თუ მათ თქვენი ღვინის დალევა უკვე მოასწრეს, დღეს ჩემი პაციენტები იქნებიან, — დაამშვიდა ექიმმა.

## მომზადება

ახალგაზრდები ხელის მოსაწერად „მმაჩის" ბიუროში მივიდნენ. რეგისტრატორმა იკითხა:

— მოემზადეთ ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯისათვის?

— რასაკვირველია, — მიუგო საქმრომ. — ვიყიდეთ ორმოცდაათი ლიტრი არაყი, ხუთასი ბოთლი ღვინო და ოცი ლიტრი სპირტი.

## საქმიანობა

მასწავლებელმა ბავშვებს დავალება მისცა: ხუთი ზმნისაგან შედგენილი ორ-ორი წინადადება დაწერეთო.

პატარა პაულმა დაწერა:

„დედა ხარშავს, წმენდავს, კერავს, რეცხავს, აუთოებს.

მამა ჭამს, სვამს, თამბაქოს ეწევა, ბანქოს თამაშობს, სძინავს".

## სანიმუშო შვილი

ავტობუსში ერთი ქალი, რომელსაც ლაპარაკის სალერღელი ჰქონდა აშლილი, შეკითხვებით აღარ ასვენებდა მეორეს:

— შვილები გყავთ, ქალბატონო?

— ჰო, ერთი ვაჟი მყავს.

— თამბაქოს ეწევა?

— რას ამბობთ, თავის სიცოცხლეში ერთი ღერი პაპიროსიც არ ჩაუდვია პირში.

— ძალიან კარგი, თამბაქო ხომ სხამია! ღვინოს სვამს?

— არა, არცერთ წვეთს.

— მომილოცავს, შინ გვიან ხომ არ მოდის?

— არა, მეტწილად სძინავს.

— რამდენი წლისაა?

— დღეს ოთხი თვისა შესრულდა.

## სარწმუნო ფაქტი

ვილი შინ ისეთი მთვრალი დაბრუნდა, რომ ძაღლი თავის ლოგინში დააწვინა და თვითონ კი ძაღლის ბუნაგში შეძვრა. მხოლოდ დილით მოვიდა გონს, როდესაც მეზობლის კატა წაეჩხუბა და დარწმუნდა, რომ ყეფა არ შეეძლო.

## მზრუნველი

ც ო ლ ი: გავიგე, შინ რომ დაბრუნდი, საათმა ორჯერ დარეკა.

ქ მ ა რ ი: სრული ჭეშმარიტებაა, ჩემო ძვირფასო, ხუთჯერ უნდა დაერეკა, მაგრამ გავაჩერე, რომ არ გაგღვიძებოდა.

## ლოთების საუბარი

ორი კაცი გვიან, ღამით ერთ რესტორანში საუბრობდა:

— გუშინ ცოლი კიდევ გამიბრაზდა, კარი გაიჯახუნა და განაცხადა: დედასთან ვიცხოვრებო. როგორ ფიქრობ, ეს დაპირებაა თუ მუქარა?

— შენთვის სულ ერთი არ არის?

— არა, გეთაყვა, — მიუგო მან, — თუ ეს დაპირებაა, მაშინ ის დედასთან წავა და თუ მუქარა — სიდედრს შინ მომიყვანს.



## განაჩენი

— მე მთვრალი კი არ ვიყავი, როგორც მომჩივანი ამტკიცებს, არამედ ნასვამი, — განაცხადა პროცესზე პასუხისგებაში მიცემულმა მძღოლმა.

— ო, ეგ სხვა ამბავია, — გაიღიმა მოსამართლემ, — მაშ შვიდი დღის ნაცვლად ერთი კვირის პატიმრობას მოგისჯი.

## დოზა

— მითხარით, ბატონო ექიმო, ჭამის დროს ერთი ჭიქა ღვინო რომ დავლიო, ცუდი იქნება?

— თუ დღეში ერთხელ ჭამთ, — არა!

## დახმარება

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი: როგორ დაჭექით ასეთი ნასვამი საჭესთან?

მ ძ ღ ო ლ ი: ამხანაგები დამეხმარნენ.

## შეშლა

ორი მეგობარი მთელ ღამეს რესტორანში ქეიფობდა. გარიჟრაჟი იყო, ქუჩაში რომ გავიდნენ.

— გესმის, რა ტკბილად გალობს ტოროლა?

— არავითარი ტოროლა, ეგ კალმახია.

— ხომ არ გაგიჟდი, კალმახი ღამით?!

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაფხულია, ცხელა, ცხელა...







ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალბედა დიასახლისებისათვის

# მურაბები

მაღაზიებში და ბაზრებში ბოსტნეულისა და ხილის სიუხვეა. დიასახლისები შეუდგნენ საზამთროდ პროდუქტების დამზადებას. დაიწყო მურაბების სეზონი. მურაბა ისეთი ნუგბარია, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას. კომპოტებით გატაცება ცოტათი მინელდა. არც ჩირსა აქვს დიდი პატივი. მურაბა კი კვლავ ყურადღების ცენტრშია. გთავაზობთ მურაბების რეცეპტებს.

### ალუბალი

გადარჩეული ალუბალი თუშფალანგში გარეცხეთ. როცა კარგად დაიწრიტება, დაყარეთ ტაშტზე, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი და 2-3 საათს დატოვეთ. მურაბამ რომ კარგი ფერი შეინარჩუნოს ეცადეთ ცოტა-ცოტა (2-3 კგ) და სწრაფად მოხარშოთ.

როცა შაქარდაყრილი ალუბალი წვენს შეიყენებს, შედგით ძლიერ ცეცხლზე და მხოლოდ 15-20 წუთი ადუღეთ. ქაფის მორთმევა არ დაგავიწყდეთ. შემდეგ ცხელ-ცხელ, წინასწარ დამდუღრულ, მშრალ ქილებში ჩაასხით და კონსერვული წესით (სტერილიზაცია აღარ სჭირდება) დახუფეთ.

### დაჩურჩული ალუბალი

მწიფე, სალი ალუბალი დაჩურჩეთ (კურკები დააცალეთ), დააყარეთ შაქრის ფხვნილი, როცა წვენს შეიყენებს, მოხარშეთ. მოხარშვის წესი ისეთივეა, როგორც წინა რეცეპტში იყო მოცემული.

### თეთრი ბალი

გარეცხილი, დაწრეტილი თეთრი ბალი დაჩურჩეთ, დაასხით ცხელი შაქრის სიროფი, გააჩერეთ 1-2 საათს, შემდეგ შედგით გაზ-ქურაზე და საშუალო ცეცხლზე მოხარშეთ.

სიროფი ასე უნდა დამზადდეს: რამდენი კილოგრამი ბალიც გაქვთ, იმავე რაოდენობის შაქარს დაასხით წყალი (ერთ კგ-ზე $^1/_2$ჩაის ჭიქა). ადუღეთ 10-15 წუთს.

იმის დასადგენად, მზად არის თუ არა მურაბა, ლამბაქზე სიროფი უნდა შეაგრილოთ, შემდეგ ცივ წყლიან ჭიქაში ერთი-ორი წვეთი ჩააგდოთ. წვეთი თუ უცბად ჩავარდა წყალში და არ გაიშალა, მურაბა მზად არის. ბოლოს უყავით ვანილი.

რაც შეეხება შენახვას, შეგიძლიათ ისევე მოიქცეთ, როგორც ეს ალუბლის მურაბაზე იყო ნაჩვენები. თუ არა და, გააგრილეთ, ჩაასხით სუფთა ქილებში და თავი ცელოფანით მოუკარით.

### თეთრი ბალი ლიმონით

ლიმონთან ერთად მოხარშულ ბლის მურაბას სასიამოვნო, მომჟავნო გემო აქვს, სიროფი კი გამჭვირვალე და კრიალა გამოდის.

მზადდება ისევე როგორც ჩვეულებრივი თეთრი ბლის მურაბა. ოღონდ ემატება გაფცქვნილი და რგოლებად დაჭრილი ლიმონი (1 კგ-ზე 1 ლიმონი). ნაჭრები აღარ ამოიღოთ, შიგვე ჩატოვეთ, რადგან ძალიან სასიამოვნო საჭმელი გახლავთ.

### ატამი

აიღეთ საშუალო ზომის დაუფცქვნელი, მაგარი ატამი. გარეცხეთ, კარგად დაჩხვლიტეთ ჩანგლით.

მოხარშეთ შაქრის სიროფი. შეაგრილეთ და შემდეგ ჩაყარეთ გამზადებული ატამი. ადუღეთ ნელ ცეცხლზე, სანამ ატამი გამჭვირვალე ოქროსფერი არ გახდება.

ოთხ კილოგრამ ატამს დასჭირდება ოთხი კილოგრამი შაქრის ფხვნილი და ხუთი ჩაის ჭიქა წყალი.

---

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ—ᲚᲔᲘᲚᲐ ᲙᲠᲘᲮᲔᲚᲘ; ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲔ—ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ. Დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲡᲚᲐᲘᲓᲔᲑᲘ


მთავარი რედაქტორი ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ᲑᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲑᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, ნ. ᲥᲣᲐᲜᲘᲐ, პ. ᲥᲚᲔᲜᲢᲘ, ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ლ. ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ნ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ᲑᲣᲙᲘᲐ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54 გადაეცა ასაწყობად 5/VI-85. წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 07. 85. ქაღალდის, ზომა 60X90$^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 148.000 შეკვ. 1494 უე 05535

ეროვნული ბიბლიოთეკა



სვანეთი. დ. იაკობაშვილის ფოტო

ƅ27/109

ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

